საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 20 ნოემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, [illegible] ცალი ნომერი ღირს 2 მანეთი, განცხადების ფასი, როგორც მეოთხე გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედ... და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 21. ტელეფონი 16—62.

№ 265 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 265

გულმოკლული მამა გლახუნ ოტიას ძე ჭყონია, დები თამარ და ფაცია შვილებით, სიძეები კირილე ჟორჟვნაძე და მელიტონ იოსელიანი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 22 ნოემბერს დანიშნულია წლის თავზე წირვა და პანაშვიდი უდროოთ დაკარგულ

გალაკტიონ ჭყონიასი

ჩიბათში გომახურის წმ. გიორგის ეკლესიაში. (3036 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი დედა სალომე, ძმები: ვანო და გიგლა, დები: დარო, ნინო და თამარი, სიძე არტემი, ბიძები გაბო და სხ. აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 19 ნოემბერს გარდაიცვალა 2 ე ქალთა გიმნაზიის 8 ე კლასის მოწაფე

ელენე სოლომონის ასული სამნიაშვილი

22 ნოემბერს დილის 9 ს. მიცვალებულს გამოასვენებენ არსენალის აღმართი № 12, მიასვენებენ ნიკოლოზის ეკლესიაში; დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (3037 3—1)

გამოვიდა და იყიდება ლ. ა. იუძლოვის წიგნი

მუშათა მოძრაობა და მისი გავლენა ინგლისის სახელმწიფოებრივ განვითარებაზე

მე XVIII საუკ. მეორე ნახ. და XIX საუკ.

გამოცემა თფილისის სახალხო უნივერსიტეტისა, საწყობი: პლეხანოვის პრ. 123 სახალხო უნივერსიტეტი, ბითუმათ ყიდვის დროს შეღავათი. (2034 3—1)

15 აგვისტოს ოჩემჩირეში მოვაჭრე

ისიდორე ზამთარაძე

წავიდა ბათუმში სავაჭრო საქმეებისთვის. შემდეგ არ დაბრუნებულა. არ ვიცით სად იმყოფება. თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ სად წავიდა და შემთხვევით ნახა სადმე, ვთხოვთ აცნობოს ოჩემჩირეში ქალაქის გამგეობას. (2988—5—5)

## ლენინი თუ დენიკინი

დღეს დეპეშებმა ამბავი მოიტანეს, რომ წითელმა არმიამ კურსკი აიღოვო. ამ ბოლო დროს ომის სასწორი თითქოს ბოლშევიკებისაკენ იხრება.

ვინ გაიმარჯვებს, ლენინი თუ დენიკინი—წითელი არმია თუ დობრარმია? ჩვენთვის, საქართველოს დემოკრატიისათვის ვისი გამარჯვება სჯობია, რომელი მათგანია ნაკლები ბოროტება? ყოველ შემთხვევაში იძულებითი არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, ვის უნდა მივსცეთ უპირატესობა?—აი ის კითხვები, რომელსაც ხშირათ აძლევს თავის თავსა და სხვებს და გადაჭრილსა და გარკვეულ პასუხს მოითხოვს მოქალაქეთ წოდებული ობივატელი. ის მოითხოვს, რომ პასუხი იქნეს მოკლე და მკაფიო, ან ერთი ან მეორე.

საშინელმა საერთაშორისო ომმა ადამიანის ცხოვრების ყოველ დარგს თავისი კვალი დაამჩნია. თვით ადამიანთა, ფსიხიკასა და აზროვნებას ერთგვარი მილიტარისტული ელფერი დასდო. საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კლასთა ურთიერთობაში პოლიტიკა თითქმის განიდევნა და მის მაგივრათ სტრატეგია გამეფდა. დღეს პოლიტიკური ბრძოლის ადგილს სამხედრო ოპერაციები იჭერს. თვით ის სამოქალაქო ომი პრინციპია, რომელიც ასე მძლავრათ იჭრება დღეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გამანადგურებელ საერთაშორისო ომის ნაანდერძევია. პოლიტიკური აზროვნებაც დღეს ისე შეპყრობილი ყავს მილიტარიზმს, რომ უმეტეს შემთხვევაში, როდესაც ლაპარაკობენ პარტიებზე და მათ ძალაზე, პირველყოვლისა მხედველობაში აქვთ, თუ რომელ ჯგუფს რამდენი თოფი ყუმბარა და ტყვიის მფრქვეველი აქვს. როდესაც დღეს ობივატელი კითხვას აყენებს, ლენინი თუ დენიკინი გაიმარჯვებსო, უთუოდ იმას გულისხმობს, თუ რომელი ჯგუფი დამარცხდება ბრძოლის ველზე. ის, ასე ვთქვათ, სტრატეგიულათ აყენებს კითხვას და არა პოლიტიკურათ. ნამდვილათ ამაში კი არაა კითხვა, თუ რომელი ჯარი დასძლევს, არამედ თუ რომელი პოლიტიკა გაიმარჯვებს. რა მოელის რუსეთს—კომუნიზმის განმტკიცება, თუ რესტავრაცია? რომელი ამ წყობილება მათგანი არის ზეგამოჭრილი რუსეთის სინამდვილეზე? თუ კითხვას ასე დავაყენებთ, და სხვაფრივ არც შეიძლება პოლიტიკური კითხვის დაყენება, მაშინ პასუხიც ადვილი იქნება. რევოლიუციამ იმდენათ საფუძვლიანათ და ღრმათ მოხნა რუსეთის ნიადაგი, ისე მძლავრათ მიანგრ მოანგრია ძველი წყობილება და დაგლიჯა წინანდელი სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და ეროვნული ძაფები, რომ არავითარ ძალას არ შეუძლია ძველი წყობილების აღდგენა, მილიონ დენიკინსაც არ ძალუძს რესტავრაციის მოხდენა. ძველი რუსეთი მოკვდა იმის აღდგენა შეუძლებელია, მაშასადამე დენიკინის საქმე და ზრახვა უნიადაგოა. მას შეუძლია სამხედრო გამარჯვება, შეიძლება მოსკოვიც კი დაიჭიროს მისმა ჯარებმა, მაგრამ დენიკინიზმი როგორც პოლიტიკური პროგრამა ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაიმარჯვებს. ის ვერც ერთ დიდ საკითხს ვერ გადასჭრის. დენიკინიზმის პოლიტიკური სისტემა წარსულისაა და არა მომავლის.

როდესაც კითხულობენ გაიმარჯვებს თუ არა ლენინიო, გულისხმობენ იმას, დაიბრუნებს თუ არა წითელი არმია კიევს, ხარკოვს, ოდესას და სხვას. ნამდვილათ კი ამ სტრატეგიულ გარემოებას ნაკლები პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. კითხვა მხოლოდ იმას უნდა ეხებოდეს, შეიძლება თუ არა კომუნიზმის განმტკიცება; მზათაა თუ არა რუსეთი კომუნიზმისთვის? ხოლო ამ კითხვის შესახებ ბევრის თქმა ზედმეტია; დღეს აშკარაა, რომ რუსეთი სოციალისტური წყობილებისთვის არავითარ შემთხვევაში არ არის მზათ; ნამდვილი კომუნიზმი არ არის რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების უახლოესი ფორმა. კომუნიზმი რუსეთისათვის ისეთივე უნიადაგოა დღე'დღეობით, როგორც დენიკინიზმი, უკანასკნელი უკვე განვლო რუსეთმა, პირველისთვის კი ის ჯერ მომწიფებული არ არის. და ამიტომ ორივე ეს სისტემა ძალით ეხვევა რუსეთს თავს. ორივე ისინი იძულებულნი ხდებიან დიქტატურას დაეყრდნონ. ორივე ბანაკი სასტიკათ და დაუნდობლათ ებრძვის დემოკრატიას, ვერც დენიკინიზმი და ვერც ბოლშევიზმი ვერ გაიმარჯვებს; ორივე განწირულია, შეიძლება ამ ორმა პოლიტიკურმა სისტემამ ისე შესჭამონ ერთი მეორე, როგორც ერთ ქვევრში დამწყვდეულმა ორმა ობობამ. მართალია რუსეთის ასპარეზზე დღეს მხოლოდ ეს ორი ძალა სჩანს, მაგრამ ესეც ერთგვარი მილიტარისტული აპერაციაა. ხშირათ შეხვდებით ამოცანა სურათს, რომელზედაც დახატულია თოფი, ნადირი, სანადირო ხალთა და სხვა. მაგრამ მონადირე არსად სჩანს, სურათი რამდენიმეჯერ უნდა შეაბრუნოთ, დაუკვირდეთ და შემდეგ შეამჩნევთ მონადირის მოხაზულობას. რუსეთის „მონადირე“ ეს იგივე დემოკრატიაა, რომელიც დღეს არ სჩანს. სხვა კითხვაა, საიდანა და რა ფორმით წარმოიშობა მისი პოლიტიკური ძალა, გადაგვარდება ბოლშევიზმი ევოლიციონურათ დემოკრატიათ, თუ სტრატეგიულათ გამარჯვებულ დენიკინს პოლიტიკურათ დემოკრატია დაამარცხებს. თუ უფრო მოსალოდნელია რომ ის განაპირა სახელმწიფოებრივი ჩანასახნი დონი, ყუბანი, უკრაინა, ციმბირი და სხვები უფრო ადრე ჩამოყალიბდებიან დემოკრატიებათ და შემდეგ მათი კავშირი, გამარჯვებას არგუნებს როგორც დენიკინზე, ისე ბოლშევიზმზე?

ხოლო ჩვენთვის კი არც უნდა არსებობდეს ასეთი კითხვა თუ რომელი ძალის გამარჯვებაა საპრიანო საქართველოს დემოკრატიისათვის — ლენინის თუ დენიკინის. არც ერთის გამარჯვება საქართველოსათვის ხელსაყრელი არაა, საქართველოს დემოკრატიისათვის მხოლოთ დემოკრატიის გამარჯვებაა სასიამოვნო და სახეირო. თუ დენიკინმა დაგვამარცხა, ბოლშევიზმი აუცილებელი იქნება ჩვენშიც, თუ ბოლშევიზმმა გაიმარჯვა უთუოდ დენიკინიზმიც თან მოყვება, ორივე ეს ძალა ანარქიასა და განადგურებას გვიქადის და შემდეგ დიდის მსხვერპლის ფასებით ისევ დემოკრატიას უნდა დავუბრუნდეთ. აღმართი და დაღმართი არცერთი არაა წაღმართი. როდესაც კითხვას გვიყენებენ—ყოველ შემთხვევაში მაინც რომელი გირჩევნიაო, ჩვენ ვეუბნებით—არც ერთი. ვინაიდან ჩვენ არა ვართ შჩედრინის ლოქო-თევზი, რომელსაც არჩევანს აძლევდნენ, როგორ გირჩევნია, გეთაყვა, ზეთში შეგწრაკოთ, თუ ერბოში შეგწვათო.

## რეაქციონური მოძრაობა გერმანიაში

როგორც გაზეთებში მოყვანილი ცნობებიდან სჩანს, გერმანიაში მზადდება გილდენბურგიზმი. ამ მოძრაობას თითქმის ისეთივე სარჩული აქვს, როგორც ქონდა რუსეთის კორნილოვშჩინას. მას მხარს უჭერენ ყოფილი კონსერვატორები—მსხვილი მემამულეები, რომელნიც მოკალათებულნი არიან ე. წ. სახალხო პარტიაში. სტუდენტ-აფიცრობის ნაწილი ემზადება ახლანდელ მთავრობის ჩამოსაგდებათ და ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ. ამ მოძრაობაში საინტერესო ის არის, რომ გერმანიის რეაქციონერები მოქმედობენ რუსეთის შავ-რაზმელებთან ერთად. ამას არ მალავდენ დენიკინის შტაბის ოფიცრები უკრაინაში. მათი აზრით, ინგლისი ისტორიული მტერია რუსეთის. საფრანგეთი რესპუბლიკანური ქვეყანაა და მისი მართვა-გამგეობა პარლამენტის ხელშია. ის, ერთი დენიკინელ გენერლის სიტყვით ნახევრად ბოლშევიკურია. ამერიკა ხომ სრულებით არ არის სანდო. დღევანდელი გერმანია, იმავე დენიკინელების აზრით, უნდა ისევ შეიცვალოს მონარქიულ ძველ გერმანიად. ასეთ პირობებში ორი ქვეყნის რეაქცია შეერთდება და შეებრძოლება არა მარტო სოციალისტურ მოძრაობას, არამედ დემოკრატიის ბატონობას ევროპაში. ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ გილდენბურგის პარტია და დენიკინის ძმა-ბიჭები ხელ ჩაკიდულნი მოქმედებენ. ვიღაც პოლკოვნიკი ავალოვი, რომელიც ლატვიაში მოქმედებს, დენიკინელია და იმავე დროს გილდენბურგელი. ფონ დერ ჰოლცი, რომელიც არ დაემორჩილა გერმანიის მთავრობას და პეტროგრადისკენ მიიწევდა, გერმანიის რეაქციის სარდალია და მეგობარი დენიკინის შტაბის.

აქვს გამარჯვების შანსი გერმანიის რეაქციას?

ჩვენის აზრით, სრულებით არა. მათი აქტიური გამოსვლა ხელს შეუწყობს გერმანიის დემოკრატიის მჭიდრო შეკავშირებას. გუშინდელ ცნობებიდან სჩანს, რომ შეიდემანმა დაინახა საფრთხე მარჯვნივ და მოუწოდებს თავის მომხრეებს მზათ იყონ ყოველ შემთხვევისთვის. გერმანიის რესპუბლიკის ბურჯი—შეკავშირებული მუშები—ისეთ დიდ ძალას წარმოადგენს, რომ მათი ერთსულოვანი გამოსვლა ძლიერ ჩქარა და მტკიცეთ მოუღებს ბოლოს რესტავრაციის მოტრფიალეთ. დენიკინელებს ტყუილი იმედი აქვთ თავიანთ გერმანელ მოძმეების.

ბ. თეკლათელი.

## შთაბეჭდილება
(დამფუძნებელი კრება).

თფილისს მრავალი ხალხი მოაწყდა. ზოგს იზიდავს მისი შედარებითი სიწყნარე, ზოგს გამდიდრების წყურვილი, ზოგს თავის გადარჩენა რუსეთის წითელი და შავი რეაქციისაგან, ზოგს კიდევ ბოროტი განზრახვა და მიზნები ჩვენი წყობილების, ჩვენი თავისუფლების წინააღმდეგ. ესენია უმთავრესად უცხოელნი. მარა არიან შინაურებიც. პროვინცია დაიძრა და ქალაქებს მოედო. მარტო ერთი თვის განმავლობაში, თვით მართველობის ცნობით, ქალაქს შემატებია ცხრა ათასი სული.

ამან გამოიწვია ბინების და, რაც თავი და თავია, სასურსათო კრიზისი. სურსათის ნაკლებობა სასიკვდილო ცელით დასდევს რესპუბლიკას და მისი კიდევ უფრო გამწვავება საბედისწერო იქნებოდა ჩვენი თავისუფლებისათვის მით უმეტეს ახლა, როცა მთელი მაზრები ჯერითვე დამშეულია და სათესლე ხორბალიც ვერ უშოვია. შეუძლებელი იყო მთავრობას ყურადღება არ მიექცია ამისთვის და საჭირო ზომები არ მიეღო. ერთი ზომათაგანია ის დეკრეტი, რომელიც წარუდგინა მან დამფუძნებელ კრებას. დეკრეტი მოითხოვს ქალაქიდან ყველა იმ პირების გასვლას, რომლებიც „არ არიან შეკავშირებული ადგილობრივ ცხოვრებასთან რაიმე პროფესიით თუ საქმიანობით“.

მარა არის მეორე მოტივიც—მოტივი პოლიტიკური. ჩვენში მრავლათ არიან დენიკინელები, აგენტები სხვადასხვა ჩვენი მოწინააღმდეგე ჯგუფებისა. ყველა ესენი ცხოვრობენ თავისუფლათ, აწყობენ ამბოხებას, ამხნევებენ მატარებლებს და ასე ნელ-ნელა ძირს უთხრიან ჩვენს არსებობას.

ასეთ პირობებში აუცილებელი ხდება თავდაცვა და სწორეთ ასეთი თავდაცვითი ხასიათი აქვს ზემოთ ნახსენებ დეკრეტსაც.

მოსალოდნელი იყო, რომ დამფუძნებელ კრებაში არ აღმოჩნდებოდა ისეთი ფრაქცია, რომელიც ასეთი ზომების წინააღმდეგ გაილაშქრებდა და ამ ნიადაგზე ოპოზიციას დაიწყებდა.

მარა ასეთი ფრაქციაც აღმოჩნდა. ეს გახლავთ ესერების ორ კაციანი ფრაქცია. ამ ფრაქციას მეთაურობს ბ. ლ. შენგელაია, ვაჟი მეტათ გაუწვრთნელი პოლიტიკაში. ამ დღეს ნამდვილი ბენეფისი იყო მისი.

ყველა ფრაქციის ორატორმა მის წინააღმდეგ ილაპარაკა და დამფ. კრების ტრიბუნა რომ სახალხო ტრიბუნა არ იყოს, ასეთი ყურადღების ღირსათ, რასაკვირველია, მას არავინ გახდიდა, რადგან „ჩიტი ბდღვნათ არ ღირდა, დევნა მეტი იყოვო“—იტყვიან.

ბ. შენგელაია აზირებული ორატორია. ლაპარაკობს ცალ ყბათ, იცქირება მუდამ ხორებისკენ (დემაგოგის თვისებაა) და მოშლილ არღანივით თავის ცივი ხმით მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებს.

მთავრობის პოლიტიკა არ ვარგა, ნ. ხომერიკის მიწის კანონმა ქვეყანა დაღუპა, აჯანყებას იწვევს მენშევიკების პოლიტიკა და სხვა ასეთები და როცა ამას თუთიყუშივით იმეორებს, ჰგონია, რომ კრიტიკას ეწევა. მას დიდი სურვილი აქვს რაიმე ღრმა აზრი სთქვას, მარა მისი აზრები ისე ღრმაა, რომ წიწილაც ვერ დაისველებს ფეხს. ეს ქმნის მხიარულ ატმოსფერას, და იწვევს სიცილს. მას კი ჰგონია რაღაც კარგი ვსთქვიო. საბრალო ფრაქცია!

არა ნაკლები საბრალო იყო სოც.-ფედ. ორატორი ბ ნი შ. ნუცუბიძე. მან მოიწონა დეკრეტი, მარა „სულმა არ მოუთმინა“ და მთავრობის და მენშევიკების კბენას შეუდგა. გამოვიდა ისე, როგორც იტყვიან: начал здравіе—кончил за упокой. დაიჯინა რაღაც რულეტკა, მექანიკა და მისი წარა-მარა ხმარებით ბ ნ შენგელაიას მიერ შექმნილი მხიარულება კიდევ უფრო გააძლიერა. პრეტენზიები ამ ორატორსაც დიდი აქვს, მარა მისი პრეტენზია იმდენათ მსუბუქია, რომ ნიავიც კი ათამაშებს. ამიტომაა რომ იწყებს სადღეგრძელოთი, ათავებს შესანდობარით!

დეკრეტი მიიღო ყველა ფრაქციებმა, გარდა ესერებისა. ამრიგათ დამფ. კრებამ გაიზიარა მთავრობის ნაბიჯი, მისცა მას მორალური და უფლებრივი სიმტკიცე და ჩვენ იმედი გვაქვს მთავრობა გამოიჩენს სათანადო სიფრთხილეს და წინდახედულებას, რომ არ დაისაჯოს და არ შევიწროვდეს ის მოქალაქე თუ უცხოელი, რომელიც როგორც ახლა, ისე მუდამ სასურველი და სასარგებლო იქნება ჩვენი რესპუბლიკისთვის...

განი.

## დამფუძნებელი კრება
18 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ხ. მდივნის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სამხედრო უწყების განკარგულებაში 15 მილ. მანეთის გადადებისა ჯარისათვის სურსათ სანოვაგის დასამზადებლათ.

იგ. ჭავჭანიძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საშემოსავლო გადასახადისა, საცხოვრებელ მინიმუმისა და გადასახადის ნუსხის პარაგრაფების შეცვლისა.

დეკრეტი ანარქიის წინააღმდეგ ზოგიერთ საბრძოლველ ზომისა.

მომხსენებელი ს. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ ჩვენში ანარქია ძლიერია, მთავრობა ამ ანარქიას ებრძვის. უმთავრესათ სასამართლოს საშუალებით, მაგრამ, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ანარქიის მთავარი ხელმძღვანელნი, ინტელექტუალური ძალები ძალიან იშვიათად უვარდება ხელში სასამართლოს, ისინი ახერხებენ სასამართლოს ხელიდან გასხლტომას და ამიტომ მთავრობა თხოულობს, რომ მას მიეცეს უფლება ადმინისტრატიული ზომებით ებრძოლოს იმ ელემენტებს, რომლებიც ჩვენში ანარქიას აწყობენ და ჩვენს დამოუკიდებლობას ებრძვიან. ასეთები არიან უმთავრესად პოლიტიკური ჯგუფები, უცხოელები.

უცხოელებს ყველგან შეუძლიანთ ცხოვრება, ამის უფლება ჩვენშიაც აქვთ, მაგრამ არსად, არც ერთ სახელმწიფოში უცხოელებს არა აქვთ უფლება ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ გასწიონ აგიტაცია. ასეთ უფლებას ჩვენ ვერ მივსცემთ უცხოელებს, ამიტომ ჩვენ გვინდა რომ მიღებულ იქნეს ზომები იმ უცხოელთა საქართველოდან გასაძევებლათ, რომელთა მოქმედება სახელმწიფოებრივის თვალსაზრისით საზიანოთ იქნება ცნობილი. რაც შეეხება ჩვენს მოქალაქეებს, ისინიც, თუ ზედმეტათ იქნებიან მიჩნეულნი ქალაქში, უნდა წარიგზავნონ სხვადასხვა ადგილას, აი ამ მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარმოგიდგინათ ასეთი დეკრეტი.

ლ შენგელაია (ს. რ.) აღნიშნავს, რომ ეს დეკრეტი სრულებით არ გამომდინარეობს იმ მოხსენებიდან, რომელიც ამას წინეთ შინ. საქ. მ.ნ. გააკეთა დამფუძნებელ კრებაში. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ ჩვენ სავსებით გამოვარკვიეთ ხასიათი მოძრაობისა, ვიცით თუ რის გაკეთება სურთ და რას აკეთებენო. თუ ეს ყველაფერი იცით, ბატონებო, მაშინ რა საჭიროა აქ განსაკუთრებულ ზომებზე ლაპარაკი—ამბობს ორატორი. მაგრამ თქვენ არ იცით ის მთავარი მიზეზები, რომლებმაც ნიადაგი მოუმზადეს ჩვენში ანარქიას: ეს არის საშინაო პოლიტიკის უვარგისობა. (ხმა: მიწის სოციალიზაცია გამოაკეთებს საქმეს, არა?)

დეკრეტი თხოულობს სრულ თვითნებობის დაკანონებას. გარდა ამისა, ეს დეკრეტი უმთავრესად ეხება უცხო ელემენტებს. ვინაიდან ჩვენი მდგომარეობა ასე თუ ისე დამოკიდებულია იმაზე, გვიცნობენ თუ არა უცხოელები, ამ დეკრეტის მ ღება შეუძლებელია. ეს დეკრეტი ხელს შეუწყობს ანარქიის გაძლიერებას, ეს გაამრავლებს იმათ რიცხვს, ვინც გვებრძვის ბოლშევიკების, დენიკინის სახით (ლ. ნათაძე ადგილიდან: ესერების სახითაც!) ამ დეკრეტში არის ერთი მუხლი, რომელიც მიმართულია რუსი ესერების და მენშევიკების წინააღმდეგ, თითქოს ისინი მოქმედებენ რუსეთის ცენტრალური ორგანოების დირექტივებით. ეს ასე არ არის. რუსეთის ს. რევ. და მენშევიკები სიმპატიით ეპყრობიან ჩვენს დამოუკიდებლობას, ამას ამტკიცებს ლიუცერნის კონფერენციაზე მიღებული რეზოლიუცია (ხმები: ეს არგუმენტი აქაურ რუს ესერების და მენშევიკების საწინააღმდეგოთ ლაპარაკობს). ამ პარტიებს გონიათ, რომ ჩვენს დამოუკიდებლობას არ იცნობენ, და როცა იცნობენ, ისინი მაშინათვე მოსპობენ თავიანთ ორგანიზაციებს, მე ამის დამამტკიცებელი კერძო ცნობები მაქვს. ყველა ამ მოსაზრებათა გამო ჩვენი ფრაქცია წინააღმდეგია ამ დეკრეტისა.

მუხ. ხოშოლავას სიტყვა,
შენგელაიას მორიგ ლექციაზე.

წარმოდგენილი დეკრეტი ეხება იმდენათ ნათელი, ცხად და ყველასათვის გასაგებ საგანს, რომ ახალი არგუმენტაციის მოყვანა მის დასაცავად ერთობ ძნელია. მაგრამ მე ვაკვირდები „ოპოზიციის“ გამოსვლას და უნდა განვაცხადო, რომ ყველა საკითხი, რაც უნდა უდავო და მარტივი იყოს ის, იწვევს აქ დაუსრულებელ დავა კამათს. და მე არა ვარ დარწმუნებული, რომ აი აქედან არ გამოვა თუ გინდ ბატონი ლეო შენგელაია, რომელსაც ასე უყვარს ამ მრძოლის ტრიბუნის სკოლის კათედრად გადაქცევა, და არ წაგვიკითხავს მორიგ ლექციას, არ გადმოაბრუნებს დეკარტის ცნობილ დებულებას და არ იტყვის: ზოგიერთი წევრი სოც.-რევოლიუციონერთა პარტიისა არ აზროვნებს, მაშასადამე იგი არ არსებობს. და ჩვენ მაშინ მოგვიხდება მტკიცება იმისა, რომ ისინი არსებობენ.

აქ არის ორი მომენტი.

მართლაც, რა არის ამ დეკრეტში საფრთხო? ახლავე უნდა განვაცხადო, რომ ქალაქის დადგენილება, დამტკიცებული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ და გამოქვეყნებული უკვე გაზეთებში, ეხება სულ სხვა საკითხს და აქ წარმოდგენილ დეკრეტს არა აქვს მასთან კავშირი. ჩვენს წინაშე სდგას საკითხი პოლიტიკური და ამის გარშემო უნდა მოხდეს მსჯელობა. ამ მხრივ კი შეიძლება აღვნიშნოთ ორი მომენტი.

ველურთა თავისუფლება?

პირველი. ჩვენ გვეუბნებიან, რომ დეკრეტის ძალით იზღუდება მოქალაქეთა პოლიტიკური თავისუფლება. მართალია ეს, თუ თავისუფლებას ჩვენ გავიგებთ, როგორც თავაშვებული, უკონტროლო მოქმედებას. მაგრამ ამგვარი თავისუფლება არის ველურთა თავისუფლება.

კულტურულ ხალხს კი თავისუფლება ესმის, როგორც მოქმედება უფლებრივ ნორმით განსაზღვრული, თავისუფლება თუ გნებავთ, არის გამოხატვა, კონკრეტიზაცია მომქმედ უფლების, კანონი იქნება ეს, თუ ხალხის ადათი. ამ მხრივ მე ვერ წარმომიდგენია ვერც ერთი სახელმწიფო, თუ გინდ უაღრესად დემოკრატიული, რომელიც დაუშვებს თავის საზღვრებში მოქმედებას თვით ამ სახელმწიფოს არსებობის წინააღმდეგ. ეს გახლავთ ფორმალური მხარე. შინაარსით კი, ვისი თავისუფლება იზღუდება აქ? იმ პარტიების და ჯგუფების, ვინც ძირს უთხრის ჩვენს დამოუკიდებლობას. საქართველოს დემოკრატია კი იცავს ამ დამოუკიდებლობას, იგი მისთვის სინონიმია თავისუფლების.

ჩვენ ხალხს აქვს ორგანიზაციული ძალის შეგნება.

ამ ნამდვილ თავისუფლების, რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავათ მშრომელ ხალხს შეუქმნია მრავალი ორგანიზაციები, შეკავშირებულა მათში, და მასთან ერთად მოუხერხებია ორგანიზაცია ძალისა თვით ხალხის შეიარაღებით.

ჩვენში არა ერთხელ გაუღიათ კარები ბოლშევიკებს, საიდანაც უნდა შემოჭრილიყო რეაქცია. გაიღო ეს კარი იმ დროს, როცა დაიძრა საერთოთ რუსეთის გაბოლშევიკებული ჯარი, მაშინ, როდესაც აჯანყება მოგვიწყვეს დუშეთში და სხვაგან. მაგრამ ორგანიზაციულად შეკავშირებული ქართველი ხალხი მედგრად შეხვდა მტერს და დაიმორჩილა იგი, ან განდევნა რესპუბლიკის საზღვრებიდან. და ეს ორი მომენტი: ორგანიზაციული ძალის შეგნება და ორგანიზაცია ძალისა არის დამახასიათებელი თვისება ჩვენი რევოლიუციური დემოკრატიისა. ამ საშუალებით იცავს ის თავისუფლებას, ეწევა ყოველდღიურ ბრძოლას და მიისწრაფის მომავლისაკენ. და რა უფლება გვაქ ჩვენ მივანიჭოთ თავისუფლება ავანტიურისტთა ჯგუფს, რომელიც ცდილობს ბოლო მოუღოს ქართველი ხალხის ორგანიზა

# დღეს

„ფორვერტსის“ გადმოცემით გერმანიის მეუმრავლესე და დამოუკიდებელი სოციალისტები გაერთიანებისაკენ მიისწრაფვიან მონარქიული რეაქციის გაძლიერების გამო.

საზავო ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც შანდუნს ეხება ამერიკის სენატმა არ დაამტკიცა.

შრომის საერთაშორისო კონფერენციის კომისიამ დაადგინა დაუშვან ვაშინგტონის კონფერენციაზე ყველა ის ახალი სახელმწიფოები, რომლებიც კი ამას მოისურვებენ.

საფრანგეთში არჩევნები წესიერათ ჩატარდა. ფრანგული პრესის ცნობით, არჩევნებში ბევრს მონაწილეობა არ მიუღია და სოციალისტ რადიკალები საგრძნობლათ დამარცხდენ.

ბოლშევიკების ცნობით ესტლიანდიის ტერიტორიაზე გადასული იუდენიჩის ჯარს ესტლიანდიის მთავრობა იარაღს ჰყრის. იმავე ცნობით საბჭოთა ჯარმა კურსკი აიღო.

---

ციულ შემოქმედებას და ჭეშმარიტ თავისუფლებას?

**ქართველი ხალხის ინტერნაციონალისტობა უდაოა.**

გადავიდეთ ახლა მეორე მომენტზე. ჩვენ გვეუბნებიან, რომ სოც. დემოკრატია გაშოვინისტდა და სდევნის საქართველოს საზღვრებიდან ყველა არა ქართველს.

აქ ჩვენ შეგვიძლია დაბეჯითებით ვსთქვათ, რომ ასეთი უძლური და უსინათლო საშუალებას, ამნაირი შავი დემაგოგიის აგორებას არ ექნება გასავალი არამც თუ ჩვენს ხალხში, არამედ უცხოელთა წრეებშიც. მართლაც, რომელი პატიოსანი და მიუდგომელი რუსი დაიჯერებს, მაგალითად, რომ ჩვენ ვსდევნით აქედან რუსებს. არა, ბატონებო, ჩვენი ძმური და მეგობრული კავშირი იმდენად მკიდროა და მძლავრი, რომ ვერავითარი ჯოჯოხეთური ძალა მას ვერ შეარყევს. და დადგება დრო, როდესაც გამაგრებული და განახლებული რევოლიუციური რუსეთი პირველად გაიგონებს ჩვენგან ძმურ გამოძახილს. ჩვენ გვჯერა, ის რუსეთი პატივისცემით მოეპყრობა ჩვენს დამოუკიდებლობას, და ხალხის თავისუფლებას.

**ჩვენს ხალხს ვერავინ ვერ დასწამებს შოვინისტობას.**

ქართველს ხალხს ვერავინ ვერ დასწამებს შოვინისტობას. პირიქით, ჩვენდა საბედნიეროთ ეროვნული იდეის შეგნება ჩვენში ჰარმონიულათ შეუკავშირდა საერთაშორისო სოლიდარობას— და ყველა ერის წარმომადგენელს შეუძლია თავისუფლათ ისარგებლოს აქ ყველა იმ უფლებებით, რომლითაც სარგებლობს თვით ქართველი თუ უცხოელნი შეითვისებენ ჩვენს მისწრაფებებს საერთო ლტოლვას და ზრახვას.

ამ მხრივ, ისტორიაში აღინიშნება უთუოდ ქართველი ხალხის ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტობა. ეს იყო თავდები ჩვენი ხსნისა, ამაშია ჩვენი პოლიტიკური სიმძლავრე.

**ბრძოლა შავ ყორნებთან.**

ქართველი ხალხი ვერ ითმენს უცხოელთა დევნას, დეკრეტი ეხება მხოლოდ შავ ყორნებს, ამ მხრივ კი ჩვენი ხალხი იქნება სასტიკი და ულმობელი.

ჩვენ ვავალებთ მთავრობას შეებრძოლოს ხალხის მტერს მთელი თავისი ძალ ღონით, ვინც უნდა იყოს ეს მტერი: ავაზაკ ავანტიურისტთა ბრბო, შავი ღენერლების აგენტები, თუ პოლიტიკური მანიაკი წითელი ფერით შეღებილი.

ამასთან უნდა განვაცხადოთ, რომ მარტო რეპრესიებით არ დამყარდება წესიერება, საჭიროა ყველა ზომების კოორდინაცია. ჩვენ არ ვმალავთ იმასაც, რომ ყველაფერი არ არის რიგიანად მოწყობილი, არის დეფექტები; უნდა ამუშავდეს სახელმწიფოს მთელი აპარატი, უნდა ამოძრავდეს ყველა ცოცხალი ძალები.

მაგრამ მხოლოდ მთავრობის ძალაზე კერ დავეყრდნობით. ჩვენ ვერ ვინუგეშებთ თავს იმით, რომ მივიღოთ ძალაუფლების ცნობილი დაყოფა კლასიფიკაცია, ჩვენ არ შეგვიძლია ამით დავწყნარდეთ, დავწყნარდეთ მხოლოდ იმით რომ კანონები გამოვსცეთ. დამფუძნებელი კრება უბრალო პარლამენტი არ არის: საჭიროა ჩვენ თვითონ ჩავერიოთ სახელმწიფოს ცხოვრებაში, დაუპირდაპიროთ სიმართლე სიცრუეს და სიყალბეს, რომელსაც ხალხში ავრცელებენ, უნდა გამოვაცალოთ მტერს ნიადაგი, რომ არ მიეცეს მას საშვალება შეიტანოს ხალხში არევ დარევა.

საპასუხისმგებლო მომენტია. ისტორიაში იშვიათად შეხვდება ერს ასეთი ხანა. ისტორიამ კი არ იცის ცდა. ასეთ მომენტში ყოყმანი, მერყეობა, დაყოვნება და უმოქმედობა დაუშვებელია და შეუწყნარებელი.

მახსოვს მარქსის სიტყვები—1848 წლის თებერვლის რევოლიციის დამარცხების შემდეგ საფრანგეთში, რომელსაც მოყვა ორი დეკემბრის სახელმწიფოებრივი გადატრიალება, კარლ მარქსი ამბობდა: ერს, როგორც ქალწულს, არავინ არ აპატიებს, თუ ყოველი შემთხვევითი გამვლელი ადვილად მოახერხებს ახადოს მას ნამუსი.

და ეს დეკრეტი, ბატონებო, არის მიმართული სწორედ იმათ წინააღმდეგ, ვინც აპირებს ძალადობა იხმაროს ჩვენს ერზე, გამოუთხაროს ძირი ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, გათელოს ხალხის უფლება.

დეე, იცოდეს ყველამ, რომ რესპუბლიკის შვილნი ამ პოლიატიურ ზომებთან ერთად შეეცდებიან მთელი თავისი ძალ-ღონით სასწრაფოთ მოუღონ ბოლო საქართველოს საზღვრებზე მტერთა თარეშს, ვინც უნდა იყოს ეს მტერი— უცხოეთიდან მოვლინებული, თუ თვით ქართველი მოღალატე (ტაში).

(დასასრული იქნება)

# იტალია და საქართველო

**საქართველო და რომი 300 წლის წინათ.**

იტალიურ გაზეთ „ლა ტრიბუნის“ 25 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულია შემდეგი წერილი:

„მე 17 საუკუნეში საქართველოს, კარგად იცნობდენ რომში, კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდემ“ ამ შორეულ ქვეყანაში გაგზავნა თავისი] მისიონერები არა მარტო ამ პატარა საქრისტიანო ოაზისის სარწმუნოებრივ სულისკვეთების გასაცნობათ, არამედ—ამ ხალხის მრეწველობის, მეურნეობის და ხასიათის შესასწავლად. ერთი პირველი მოგზაურთაგანი საქართველოში იყო, დამნიკანის ბერი ჯიოვანდი დე ლუკა, რომელიც გაემგზავრა საქართველოში 1624 წელს და რომელმაც ვრცელი მოხსენება დასწერა თათართა და ქართველთა ზნე ჩვეულების და ცხოვრების შესახებ. ჯიოვანი დაბრუნდა რომში 1626 წელს და შემდეგ ხელმეორეთ გაემგზავრა საქართველოში. ამის შესახებ ზოგიერთ ცნობებს ვპოულობთ პეტრო დელავალის ერთ ერთ წერილში. ამ ცნობილმა მოგზაურმა და ლიტერატორმა (პეტრო დელავალემ 1586—1652) დაწერილებით შეისწავლა საქართველოს მიწა წყალი თავის მოგზაურობის დროს. ბაღდადში (მესოპოტამიაში) ყოფნის დროს მან გაიცნო თვრამეტი წლის ტურფა ასული ქართველი ქალი სიტტი მანი, რომელიც ცოლათ შეირთო. 11 წლის შემდეგ დელავალის მოუკვდა ცოლი, რომლის შემდეგაც იგი დაბრუნდა რომში, სადაც დიდი პატივით იქნა მიღებული რომის პაპის ურბანი მე VIII-ს მიერ. რომის პაპი ძლიერ დაინტერესდა პეტრო დელავალის მოყოლილ ამბებით და სთხოვა მას დაეწერა მოხსენება საქართველოს შესახებ. ერთი წლის შემდეგ პეტრომ წარუდგინა პაპის ვრცელი წერილობითი მოხსენება, რომელსაც ეხლაც კი აქვს დიდი მნიშვნელობა. პეტრო დელავილეს დაბრუნების შემდეგაც, საქართველოში გაიგზავნა სხვა მისიებიც, რომელთა შორის იყვენ იაკობ დე სტეფანო, ჯუზეპე დელ ჯიულირე, გაეტანო დ,ალექსანდრო, ქრისტოფორე დეკასტელი. უკანასკნელმა სპარსეთში და საქართველოში ოცდახუთი წელიწადი დაჰყო. მან დასტოვა მრავალი მნიშვნელოვანი ხელთნაწერები. სამწუხაროდ, დიდი ნაწილი ამ ხელთნაწერების დაიკარგა, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ 7 ტომმა. მასში ვპოულობთ მრავალ ნახატებს საქართველოს ცხოვრებიდან, არის პორტრეტები საქართველოს მეფის და წარჩინებულ პირთა არის პირი პაპის ურბან VIII წერილისა საქართველოს მეფისადმი მიწერილი. ტეატანის ბერებმა მარიცენმა და ლამბერტმა დასტოვეს ფრიად ძვირფასი მოხსენებები საქართველოს შესახებ.

საქართველოს წარმომადგენლები, ჩვენი სასურველი სტუმრები, რომლებიც ამ დღეებში გვეწვივნენ, ცხადათ დაინახავენ, რომ მათ ქვეყანას ჩვენ სამასი წელია რაც ვიცნობთ.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

19 ნოემბერი.

**მოხალისეთა ცნობები.**

ასტრახანის მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია. კამიშინის მიმართულებით მოწინავე რაზმების შეტაკებაა. ბალაშოვის მიმართულებით დრო გამოშვებით სროლაა. ხოპერსა და მედვედიცას შორის სოფ ჩეჩრნოვსკაიას და კლიუჩევსკოის რაიონში დონელებმა 300 ტყვე წამოიყვანეს. ხელში ჩაიგდეს ზარბაზანი და 9 ტყვიისმფრქვეველი. ქვემო ხოპერზე მზვერავები მოქმედებენ. ვორონეჟის მიმართულებით ტალოვის, ბობროვის და ლისკის ჩრდილოეთით მდგომარეობა არ შეცვლილა. სასტიკი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა სად. კასტორნოე დასტოვა და სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით დაიხია. ორიოლის მიმართულებით ტიმის რაიონში მზვერავები მოქმედებენ. კურსკის ჩრდილოეთით ჩვენ ნიკოლსკოეს დაჟერნოვეცის ფრონტზე მტერს ვაჩერებთ. ლგოვის და რიდისკის ჩრდილოეთით მზვერავები მოქმედებენ. ბრიანსკის მიმართულებით მდ. კლევანიზე სროლაა, მაკოშინის სამხრეთ აღმოსავლეთით დრო გამოშვებით სროლაა. ჟიტომირის მიმართულებით მდ. ირპენის მარცხენა ნაპირზე ჩვენმა ნაწილმა რაკოვკა დაიჭირა. ფასტოვის და ვინიცის მიმართულებით მდგომარეობა არ შეცვლილა, პროსკუროვის მიმართულებით ჩვენი ჯარი ბრძოლით კამაროვიცის ელ ბუშკოვოირაკლოვკას ხაზზე გამოვიდა. მტერი დასავლეთით უკან იხევს. ოდესის რაიონში სიწყნარეა.

**ბოლშევიკური ცნობები.**

მოსკოვი, ნოემბრის 18. სამხედრო ცნობა, ნოემ. 18. არხანგელსკის მიმართულებით მტრის ჯავშნიანი მატარებელი უშედეგოთ მოქმედებს. ფინეთის ყურეს რაიონში ჩვენი ჯარი მდ. ლუგაზე გადავიდა ნარვის მიმართულებით იამბურგის დასავლეთით ბრძოლა გრძელდება. ნარვის სამხრეთით 25 ვერსზე ჩვენმა ჯარმა სოფლები დაიჭირა. რკინის გზის რაიონში და მდ ნაროვის სათავეში ბრძოლაა წამოვიყვანეთ 55 ტყვე. დასავლეთ დვინაზე მზვერავები მოქმედებენ. კიევის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. ჩერნიგოვის რაიონში ჩვენ შეტევას განვაგრძობთ. ლგოვის მიმართულებით სად. კასტარნოეს და სად. სუკოვნიკინის რაიონში ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა მტრის ცხენოსნები დაამარცხა. ხელში ჩაიგდო 2 ჯავშნიანი მატარებელი, 1 ჯავშნიანი ავტომობილი, 2 ეშელონი ვაგონებისა ყუმბარებით და სხვა მრავალი ქონება. ბობროვის და კალაჩის მიმართულებით ჩვენი შეტევა გრძელდება. ნოვო ხოპერის სამხრეთ დასავლეთით 25—28 ვერსზე ჩვენ მთელი რიგი სოფლებისა დავიჭირეთ. დონსა და ვოლგას შუა ლოზნოის დასავლეთით და დუბოვკის ჩრდილო დასავლეთით ჩვენ რამდენიმე პატარა სოფელი ავიღეთ.

ყიზილიარის მიმართულებით ჩვენ ტალოვსკაია დავიჭირეთ. წამოვიყვანეთ 100 ტყვე, ხელში ჩავიგდეთ 170 თოფი და სხვა ქონება. ურალსკის რაიონში ურალსკ ლბიშჩენსკის დასავლეთით 50 ვერსზე შეტევის დროს ხელში ჩავიგდეთ 3 ტყვიის მფრქვეველი. ომსკის რაიონში ჩვენი მამაცი ჯარი კოლჩაკის არმიის დარჩენილ ნაწილებს აღმოსავლეთისკენ სდევნის. ციმბირის რკ. გზის რაიონში დავიჭირეთ ნემიროვკა 776 ვერსის სადგური სეროპიატსკოე, სკოროგოგატოვო და ნეკრასოვო. 776 ვერსის სადგურის აღების დროს ჩვენ წამოვიღეთ 11 ზარბაზანი, 1,500,000 ყუმბარა, 1 მილიონი პატრონა, სანიტარული მატარებელი და სხვა ქონება. დამატებითი ცნობების თანახმად ომსკის დაჭერის დროს ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეთ 10 გენერალი, 100 ოფიცერი, ხელში ჩავიგდეთ 80 ორთქლმავალი, რომელთაგან 40 სრული სალია, 3 ათასი ვაგონი, ტოპოგრაფიული განყოფილება და სხვა ქონება.

**ლონდონი.** ნოემბრ. 12. ლოიდ ჯორჯმა სთქვა: „ჩვენ არ შეგვიძლია განვაგრძოთ რუსეთის სამოქალაქო ომში დაუსრულებლივ ჩარევა. მისი სიტყვით, რუსეთი წარმოადგენს ქვიშას და თუმცა იქ გამარჯვებას ადვილად აღწევენ, მაგრამ იქ შეიძლება „გამარჯვებაში ჩაღრჩობა“.

**მოსკოვი.** ნოემ. 18. „პრავდა“ წერილში სათაურით: „პრინცების კუნძულის“ სწერს: „დამარცხების მომენტში იმპერიალიზი ლაპარაკობს შერიგებაზე, გამარჯვების ხანაში კი რევოლიუციაზე შეტევას აწარმოებს. მაგრამ რევოლიუციონური პროლეტარიატის პოლიტიკა არ იცვლება.

**მოსკოვი** ნოემ. 19. გუშინ ღამით ჩვენმა ჯარმა კურსკი აიღო.

**პეტროგრადი** ნოემ. 18. იამბურგის ფრონტზე მდოგმარეობა დამაკმაყოფილებელია. მიღებული ცნობებით ესტლანდიამ, იუდენიჩის შეკითხვაზე: გაუშვებს თუ არა მის ნაწილებს საზღვარზე, უპასუხა, რომ სანიტარულ ნაწილებს და დაჭრილებს გაუშვებს, ჯარს კი იარაღს აჰყრის და სამხედრო ქონებას ჩამოართმევს. ზოგიერთი ცნობით სჩანს, რომ იუდენიჩის პატარა ნაწილები ესტლანდიის საზღვარზე გადადის. ესტლანდიის მთავრობა მათ იარაღს ჰყრის.

**გერმანული პრესის ცნობები.**

ვინმე დიპლომატი გაზ. „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგში“ აღნიშნავს საფრანგეთსა და გერმანიას შორის ნდობის დამყარების საჭიროებას, რათა სათანადოდ გატარდეს საზავო ხელშეკრულების გადაწყვეტილებები. რამდენიმე დაგვიანებულ გადაწყვეტილების ფორმალურად ასრულებას პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექნება, თუ ურთიერთშორის ნდობა და კარგი განწყობილება არ შეიქნება. სტატიის ავტორი იცავს გერმანიის მთავრობას იმ ეჭვებისაგან, თითქოს ის თავის მოქმედებაში საფრანგეთის საწინააღმდეგო გრძნობებით ხელმძღვანელობდეს.

„ბერლინერ ტაგებლატში“ თეოდორ ვოლფი იმედს გამოსთქვამს, რომ პარიზში გაგზავნილ გერმანიის კომისიის მოლაპარაკების შედეგი იქნება თავდაპირველათ გერმანიის ტყვეების სასწრაფოდ სამშობლოში დაბრუნება. თუ ამაში უარს ეტყვიან, მაშინ დამტკიცებულ ოქმის ხელის მოწერა გერმანიისათვის ყოველივე აზრს ჰკარგავს.

გაზეთი „ფორვერტსი“ ნაციონალისტურ-მონარქიულ რეაქციის გაძლიერებაში ბერლინში ხედავს გერმანიისადმი ანტანტის მოქმედების ლოღიკურ დასკვნას. მუდმივათ განმეორებულ მუქარას რეპრესიულ ზომებს გერმანიის ნაციონალური გრძნობა უნდა გამოეღვიძებია. უკანასკნელ დღეებში შენიშნულ მუშათა განწყობილებიდან გაზეთს დასკვნა აქ მოჰყავს, რომ გერმანიის მეუმრავლესე და დამოუკიდებელი სოციალისტები გაერთიანებისკენ მიისწრაფიან.

ამერიკის სენატმა სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგი პირობები მიიღო: 1. შეერთებული შტატები მოითხოვენ სრულ თავისუფლებას მონროეს დოქტრინის თავისებურ ახსნა განმარტებაში, რომ აღნიშნული დოქტრინის განმარტება სრულიად არ ეხება ნაციათა ლიგას. 2. „აღმადგენლობის კომისიის“ მოქმედება ამერიკიდან გერმანიაში საქონლის გატანის შესახებ შეიძლება ძალაში შევიდეს შეერთებული შტატების კონგრესის სანქციის შემდეგ. 3) სენატი უფლებას იტოვებს ხალხთა ლიგაში და ინტერნაციონალურ კონგრესზე შეერთებული შტატების წარმომადგენელი დანიშნოს. 4) შეერთებული შტატები უარს ამბობენ შანდუნის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერონ.

შრომის საერთაშორისო კონფერენციამ ვაშინგტონში ახალ სახელმწიფოთა კონფერენციაზე დაშვების საკითხი კომისიას გადასცა: უკანასკნელმა გადასწყვიტა კონფერენციაზე დაუშვან ყველა ის ახალი სახელმწიფოები, რომლებიც ამას მოისურვებენ.

**ფრანგული პრესის ცნობები**

გუშინ საფრანგეთში არჩევნები მოხდა. არჩევნებმა სრულის წესრიგით ჩაიარა. არავითარი ინციდენტი არ მომხდარა. უნდა აღვნიშნოთ, რომ არჩევნებში ბევრს მონაწილეობა არ მიუღია და სოციალისტ რადიკალები საგრძნობლათ დამარცხდენ. ორშაბათს, 2 საათზე უკვე გამოირკვა ცნობა 278 ადგილის შესახებ. კონსერვატორებმა მიიღეს—15 ადგილი, ლიბერალებმა—35, პროგრესიულ რესპუბლიკანელებმა—51, მემარცხენე რესპუბლ.—77, რადიკალებმა—25, რადიკალ სოციალ.—44, რესპუბლიკან. სოციალისტებმა—13 და შეერთებულმა სოც.—18 ხმა. ეს ციფრები გვიჩვენებენ, რომ კონსერვატორებმა მიიღეს 1 ადგილი, ლიბერალებმა 24, პროგრესისტებმა—26, მემარცხენე რესპუბლიკან.—9, რადიკალებმა—4, სოც. რადიკალებმა დაჰკარგეს 41 ადგილი, რესპუბლიკანურ სოც.—8 და ბოლოს შეერთებულმა სოც.—17 ადგილი დაჰკარგეს. ამ გვარად ნათელია არჩევნების შედეგი—კონსერვატული ელემენტები გამაგრდენ არჩეულთა შორის არიან: ზაგფროდი, დიშანელი, ჩიერი, დიუპსი, ტარდი, ალბერტ სარრო, ბორელი, ვივიანი, ანდრე ლიფევრი, ბრიანი. დამარცხდნენ: შომე, ლაფერი, ფრანკლინი, ბუიონი, დაბლიე, პოლ მენიე, ბრიზონი, რენოდელი, და ლონგე. ახალ არჩეულებია: ყოფილ მინისტრპრეზიდენტის შვილი ანდრე ფლერი, მანდელი—კლემანსოს სეკრეტარი მფრინავი კაპიტანი გეირტო ლიონიდან, სენატორი სტანისლავ დე კასტელიანი, პოლდე კასანიაკი, ჰერცოგი პასკიე, გენერალი კასტელნო და პრინცი იოახიმ მიურატი

# უკანასკნელი ცნობები

**ზანგეზურის გარშემო.**

აზერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარემ მოკავშირეთა უმაღლეს კომისარის მოადგილეს პოლკ. რეის შემდეგი აცნობა:

„თქვენ მიერ ნოემბრის 14, 15 და 16 № 308 ით გამოგზავნილი დეპეშების საპასუხოთ მაქვს პატივი გაუწყოთ შემდეგი: ზანგეზურში აზერბეიჯანის მხრით სამხედრო მოქმედებას ადგილი არ ქონია. ზანგეზური აზერბეიჯანის რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია და ყოველთვის ასეთად ითვლებოდა არამც თუ ჩვენის, არამედ მოკავშირეთა მიერ ინგლისის სარდლობის სახით და თვით საზავო კონფერენციის უმაღლესი კომისარი პოლკ. ჰასკელი, აღიარებდა რა ჩვენ უდავო უფლებებს ზანგეზურის მხარეზე, ნახიჩევანის საკითხზე შეთანხმების ერთ მუხლში სომხეთის მთავრობისგან მოითხოვდა, რომ ის დახმარებოდა აზერბეიჯანის მთავრობას რათა ზანგეზურის მაზრაში მშვიდობიანის გზით მოხდეს აჯანყებების ლიკვიდაცია და ამნაირათ ამ მაზრის სომეხი მცხოვრებნი დაემორჩილენ. აზერბეიჯანის რესპუბლიკის ძალაუფლებას. აზერბეიჯანის მთავრობის მიერ მიღებულ უკანასკნელი ცნობებით, სომხეთის მთავრობამ არამც თუ არ შეასრულა თავისი მოვალეობა პოლკ. ჰასკელს წინაშე, პირიქით, ზანგეზურის მაზრაში თავისი რეგულიარული ჯარი გაგზავნა აჯანყებულთა დასახმარებლათ და მოძრაობის გასაძლიერებლათ. ამის გამო აზერბეიჯანის მთავრობა იძულებული იყო დამხმარე სამხედრო ძალა გაეგზავნა ყარაბახის გენ. გუბერნატორისთვის წესიერების აღსადგენათ და ანარქო ბოლშევიკურათ განწყობილ მეამბოხე სომხების დასამორჩილებლათ. ზანგეზურში აზერბეიჯანის ძალა უფლებას მიზნათ აქვს დასახული აჯანყებულ სომხეთა მიერ მაჰმადიანთა სოფლების განადგურება შეწყვიტოს 60 ათასი გაქცეული მაჰმადიანი თავის კერას დაუბრუნოს და აღადგინოს წესრიგი. თქვენ დეპეშებში გამოთქმულ თხოვნის თანახმად, მე წინადადება მივეცი ყარაბახის გენ.-გუბერნატორს, არავითარი ზომები არ მიიღოს ზანგეზურის აჯანყებულთა წინააღმდეგ და ეს მოქმედება ფაქტიურად უკვე შეწყვეტილია.

მზათა ვარ 20 ნოემბერს, დილის 11 საათზე შეგხვდეთ თქვენ და ხატისოვს, მაგრამ ამან მაინც არ უნდა შეაფერხოს სომხეთის დელეგატების მოსვლა ბაქოში კონფერენციაზე“.

**მოხალისეთა წარმომადგენლების წასვლა ბაქოდან.**

ბაქოს გაზეთების ცნობით მოხალისეთა წარმომადგენლები ბაქოს სტოვებენ. მათი წასვლა აიხსნება იმ გარემოებით, რომ გენ. ბარათოვმა უარი განაცხადა საქართველო-ადერბეიჯანთან მოლაპარაკებაზე. მასზე თავდასხმის შემდეგ, გაზეთების გადმოცემით ამიერ კავკასიაში ჩამოვლენ ახალი წარმომადგენლები.

# ახალი ამბები

**დეზერტირების წინააღმდეგ.** 18 ნოემბერს თფილისის მთავარ ჯვარედინ ქუჩებზე ქალაქის მილიციონერები აჩერებდენ ტრამვაის ვაგონებს და იჭერდენ ჯარში გასაწვევ ასაკის ახალგაზრდებს, რომელთაც განთავისუფლების სათანადო საბუთი არ ჰქონდათ, ისინი მიჰყავდათ კომისარიატში, საიდანაც დეზერტირებს აგზავნიდენ სამხედრო საკრებულოში, დანარჩენებს კი ანთავისუფლებდენ

✦ **გორის მაზრაში გამოსვლების გამოკვლევისათვის.** მთავრობის თავმჯდომარემ გორის მაზრაში მომხდარ გამოსვლების გამოსაკვლევად თავის რწმუნებულად დანიშნა დამფუძნებელი კრების წევრი გიორგი აქსენტის ძე ფაღავა და სენატორი ნიკოლოზ გიორგის ძე მაჭავარიანი.

✦ **მასწავლებელთა ჯამაგირების გადიდება.** სატარიფო პალატა არ ეთანხმება დამფუძნებელ კრების განათლების კომისიას, რესპუბლიკის ყველა ტიპის სასწავლებლის მასწავლებელთ 100 პროცენტით ჯამაგირის გადიდებას და მოითხოვს მისი ხელ ახლად განხილვას.

✦ **ლტოლვილები.** სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს რწმუნებული დღეს სომხეთში აგზავნის მე 300 ვერსიდან 35 ვაგონ ლტოლვილებს განზრახულია ამ პუნქტის ლიკვიდაცია და ყველა თავშესაფარის სომხეთში გადატანა.

✦ **ქართული შრიფტის შესწორება.** დღეს, საღამოს 7 ს. სამეურნეო ბანკის ბინაზე ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობის მიერ მოწვეულია კრება, რომლის მსჯელობის საგანს შეადგენს ქართული შრიფტის შესწორებისა და შემუშავების საკითხი. მოწვეულნი არიან საზოგადო დაწესებულებათა და რედაქციების წარმომადგენლები. სასურველია ამ კრებას მოუწვევლადაც დაესწრონ ყველა დაინტერესებული პირები

✦ **მეხამე რაიონის კოლექტივი** ს. ს. დ. მ. პ ატყობინებს ავლაბრის რაიონის პარტიულ წევრთ, რომ 20 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე შესდგება პარტიის წევრთა საზოგადო კრება. კრების მოწვევის მიზანი: მოხსენება მომენტზე, იდეური მუშაობა კოლექტივისა, ფინანსიური მხარე. პარტიის წევრთ თან უნდა ჰქონდეთ პარტიული წიგნაკი. კრება შესდგება ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში. (კახეთის ქ. № 1).

✦ **პენსიების დაწესებისათვის.** განათლების კომისიამ დაადგინა ვიდრე რესპუბლიკის ყველა უწყებათათვის შემუშავდებოდეს, დაევალოს კომისიის მიერ არჩეულ საგანგებო კომისიას, შეიმუშაოს განათლების უწყების მოხელეთათვის პენსიის დანიშვნის წესი.

✦ **ახალი ტარიფი.** 17 ნოემბრის სატარიფო პალატის სხდომაზე დამტკიცებულ იქნა 40 მდე სახელმწიფო საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულების მოსამსახურეთა ახალი ტარიფი, რომელიც 1 ნოემბრიდან უნდა შევიდეს ძალაში.

✦ **აგრონომიულ კრებების მოწყობისათვის.** მიწათ მოქმედების სამინისტრო რომ 25.000 მან. გადასდო აგრონომიულ კრებების მოსაწვევათ

✦ დაინიშნა მიწათ მოქმედების მინისტრის ამხანაგათ ივანე ჭავჭავაძე და ... სამოქალაქო ... ბანტიკ.

✦ **სამრეწველოების შტატის შემცირების შესახებ.** ქალაქის თვითმართველობასთან არსებულ სალიკვიდაციო კომისიას 15 მდე სამრეწველოების პატრონებისაგან მოუვიდა განცხადება წარმოების შემცირების შესახებ. ადიდბანოვის ტყავეულობის ქარხნის განცხადება და შტატის შემცირების მოტივები კომისიამ უსაბუთოდ სცნო.

✦ **სახელმძღვანელო წიგნები.** დაიბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა: 1) ს. იაშვილის „მოკლე სახელმძღვანელო საზოგადო გეოგრაფიისა: აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია“—ფასი 27 მანეთი. 2) და 3) ე. ხრამელაშვილის „არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვთა მაგალითების კრებული I და II ნაწილი— ფასი 17 მანეთი- ორივე წიგნი ქ. შ. წერა კითხვის გამავრც. საზოგადოების გამოცემაა, დაბეჭდილია სუფთათ და ლამაზათ.

✦ **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** 21 ნოემ. საღამოს 7 საათ. ფრეილინის ქუჩა, № 11 (სავაჭრო სამრეწველო პალ.) შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების არაჩვეულებრივი საზოგადო კრება, რომელზედაც განხილულ იქნება სტუდენტების საზღვარ გარედ გაგზავნის საკითხი. საჭიროა საზოგადოების ყველა წევრები დაესწრონ

✦ **უცხოეთში გასაგზავნ ახალგაზრდების საყურადღებოთ.** შაბათს, საღამოს 6 საათზე შინაგან საქმეთა მინისტრის კაბინეტში დანიშნულია კრება იმ ახალგაზრდებისა, რომელნიც იგზავნებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყების მიერ. დასწრება სავალდებულოა.

✦ **გამოცდები ტეხნიკოსის ხარისხზე** იმათთვის, რომელთაც რკინის გზის ტეხნიკური სასწავლებელი აქვთ გათავებული, შესდგება ამა წლის 26 დეკემბერს, თფილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებელში, (დიდი მთავრის ქ. №70)

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს საღამოს 6 ს., სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები 1 განყ. (ნაძალადევი) 1) ს მესხი „სამშობლოს აღწერა“. 2) ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები“. 3 განყ. (ჩუღურეთი) 1) აბრამაშვილი „ხელოვნების ისტორია“. 2) ბარნოვი „ქართული მწერლობა“. 4 განყ. (ორთაჭალა) 1) შალამბერიძე „ქიმია“. 2) კოტეტიშვილი „სოციოლოგია“.

✦ **მთავრობამ დაადგინა:** მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას პროექტი დეკრეტისა სახაზინო და კახეთის რკინის გზის პენსიონერთა პენსიის დამატების შესახებ.

— სასურსათო საბჭოს განკარგულებაში არსებული შაბიამანი და გოგირდი გადაეცეს მიწათ მოქმედების სამინისტროს და ამ უკანასკნელის ორდერებით მოხდეს მისი განაწილება მომხმარებელთა შორის სასურსათო საბჭოსაგან დაწესებულ ფასებში. აეკრძალოს სასურსათო საბჭოს შაბიამანის და გოგირდის დამოუკიდებლივ განაწილება დღიდან მთავრობის დადგენილებისა.

— მიწათ მოქმედების მინისტრის მოხსენება მცხოვრებთათვის დასახმარებლათ (სათესის მიცემა და სხ.) განსაკუთრებულ 5 მილიონიან ფონდის დაარსების საჭიროების შესახებ მიღებულ იქნა და მასვე დაევალოს სათანადო დეკრეტის შემუშავება მთავრობაში წარსადგენად.

— შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება ზუგდიდის მაზრაში ერობის ხმოსანთა ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ მიღებულ იქნას. არჩევნები მოხდეს ერობის ხმოსანთა რწმუნების ვადის გათავებისას (1920 წ. 1 იანვარი)

✦ **სახელმწიფო თეატრში** დღეს ალეშკოს, გლაზის, სარაჯიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება „პიკის ქალი“, პარასკევს, 21 ნოემბერს პეტროგრადის მუსიკალურ დრამის მსახიობ ქალის დავიდოვას მონაწილეობით „სევილიელი დალაქი“, შაბათს მუშებისათვის ოპერა „აიდა“, კვირას დილით „დემონი“, საღამოთი „ტოსკა“

✦ **დედობისა და ბავშობის დამცველ საზოგ. სასარგებლოდ რესტ.** „მეტროპოლს“ მოსამსახურეები დაადგინეს ყოველ თვიურად გაიღონ ხოლმე თავის თითონ თავის ჯამაგირის და მიხედვით. ოქტომბრის თვის ანგარიშით მოსამსახურეებმა საზოგადოებას გადასცეს 2,12... მანეთი.

✦ **შრომის ბირჟა.** ოქტომბრის განმავლობაში შრომის ბირჟაში ჩაეწერა 279 უმუშევარი, იმათგან 193 მამაკაცი 76 დედაკაცი. ამ დროს განმავლობაში სამუშაო მოითხოვა 2360 უმუშევარმა ე. ი. დღეში 90 უმუშევარმა, იმათგან დაკმაყოფილებულა შემდეგი კატეგორიის მუშები. სპეციალისტები 14 უმუშევარი ანუ 23,3 პროც. ხელზედ მოსამსახურე თაგან 32 უმუშევარი ანუ 50% კანტორის და კანცელიარიის—7 უმუშევარი ანუ 20%; შავი მუშები 46 უმუშ. 70 პროც.

ქართ. ხამუხიკო სკოლაში. სა...ო კოლეგიამ გამგეობის დადასტუ...თ ია კარგარეთელი მოიწვია სამუ... სკოლაში მასწავლებლად ქართულ ...ის და სოლფეჯიოსათვის.

ხახზლვარგარეთ გახაგზავნ ხტუ...თა ხიის დამატება. 18 ნოემბერს, ...ვა საუწყებათაშორისო კომისიის ...ნაქნელი სხდომა განათლების მი...რის თავმჯდომარეობით მთავრო...ნ სტიპენდიანტთა სიას, რომელიც ... გამოქვეყნებული იყო, კიდევ დაე...ო 25 სტიპენდიანტი. მათი სია შემ... გამოქვეყნდება.

ხხვადახხვა ამბები. 18 ნოემბერს, ...12 კომისარიატში ანდრია კალანდა... განაცხადა, რომ მას თავის ბინაზე, ...ტაიდის ქუჩა № 15, დაესხნენ 3 ...არაღებული ბოროტ-მოქმედნი და ...ულის მუქარით 18000 მ. წაართვეს. ...მისრის მიერ მიღებული ზომებით ...მოირკვა, რომ კალანდაძე სტყუოდა ...ფული მას სხვისთვის უსესხებია, ...მაც ხსენებული კალანდაძე ბოლო ...ოს გამოტყდა. კალანდაძე დაატუ...ლეს.

— 16 ნოემბერს ღამით კავკასიის ში...ზღვის სავაჭრო სამრეწველო საზო...ლოების საწყობიდან მოიპარეს 135 ...ლი საზაფხულო „პლაში“ და 8 ცა...ი პალტო. დაატუსაღეს საწყობის ...ვლები: ბენედიკტე დერშტეინი, დი...ტრი ოქესტმიხი და გიორგი სიპაძე.

— ვიპოვნე 16 ნოემბერს, საღამოს ...ს. მე-11 კომისარიატში, ბუფერნის ...სახვევში, შეკრული სხვადასხვა ტან...ცმელები. დამკარგველს შეუძლია მო...თხოს იმავე ქუჩაზე, № 3, გიორგი ...რშანია.

**კრებები**

...დღეს, საღამოს 6 საათზე ბიუროს ...ნაზე შესდგება საქართველოს ს. დ. ...3. მეორე რაიონული კოლექტივის ...ვრთა ჩვეულებრივი კრება.

— დღეს, საღამოს 5 ს. ბიუროს ბი...ზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. მე-6 ...იონული კოლექტივის წევრთა მორი... სხდომა.

— დღეს, 20 ნოემბერს, საღ. 6 ს. ...ნიშნულია მეოთხე რაიონული კო...ექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— 20 ნოემბერს სახელმწიფო უნი...რსიტეტის 1 აუდიტორიაში ლექციე...ს შემდეგ დანიშნულია ს. დ. სტუ...ენტთა კრება.

— 20 ნოემბერს. დანიშნულია მესა... რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა ...ზოგადო კრება.

## იუსტიციის სამინისტროში

გამომძიებელთა თათბირი. იუსტიის ...პარტამენტის მმართველის გ. თ. ...რდანიას განკარგულებით, ნოემბრის ...ს, მოწვეულ იქნა მეორე თათბირი ...თფილისის მაზრის გამომძიებლებისა. ...რველ თათბირის შემდეგ გაცემულ ...ნკარგულების თანახმად, მეორე თათ...რზე გამომძიებლებმა წარმოადგინეს ...რილობითი მოხსენებები იმ გარემოე...თა შესახებ, რომლებიც აბრკოლებენ ...გამომძიებლო აპარატის წესიერს მოქ...დებას. წარმოდგენილი გადაეცემა სა...ნგებო კომისიას, რომელსაც დავალე...ული აქვს საგამომძიებლო ნაწილის ...საუმჯობესებლად საჭირო ზომების ...მონახვა.

ტრამვაის ბილეთები გამომძიებლე...ბისათვის. იუსტიციის სამინისტრომ შუ...დგომლობა აღძრა თფილისის ქალაქის ...მგეობის წინაშე, რათა თფილისში ...ცხოვრებ გამომძიებლებთ მიეცეთ ფა...სანი ბილეთები ტრამვაის წინა ბაქანზე ...ფუთე ადგილის დასაჭერად, რადგან ...ვეულებრივ წესით ტრამვაით მოგზაუ...ობა დიდად აფერხებს გამომძიებლის ...წესიერს საქმიანობას.

ხაგანგებო ხაქმეთა დაჩქარებიხათვის. ...ადგან საგამომძიებლო კამერების დათ...ვალიერების დროს გამოირკვა, რომ ...ოგიერთ შემთხვევაში გამომძიებელი ...ყვანებს გამოძიების დაწყებას, იუსტი...ის სამინისტრომ მიმართა შინაგან ...საქმეთა სამინისტროს თხოვნით, რათა ...სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ...ვალსაჩინო ბოროტ მოქმედებათა ალ...ოჩენის შესახებ სათანადო ამბავი, სა...თანადო თანამდებობის პირთ გარდა, ...დაუყოვნებლივ ტელეფონით ეცნობებო...დეს აგრეთვე პირადად იუსტიციის დე...პარტამენტის მმართველსაც.

ახალი კანონ-პროექტი. იუსტიციის ...სამინისტრომ შეიტანა დამფუძნებელ ...კრების იურიდიულ კომისიაში კანონ...პროექტი სასამართლო დაწესებულებათა ...ორგანიზაციის გასამარტივებლად ზო...გიერთ დაწესებულების და თანამდებო...ბის გაუქმებისა. განზრახულია გაუქმება ...თფილისის სასამართლო პალატის უფ...როსის თავმჯდომარის თანამდებობისა, ...თფილისის მეორე სისხლის სასამართ...ლოს განყოფილებისა, ამავ სასამართ...ლოს მეორე სამოქალაქო სასამართლოს ...განყოფილებისა და სხვ.

შ. მაღლაკელიძის ხაქმე. შ. მაღლა...კელიძის და სხვათა საქმის გამოძიება ...უკვე დაამთავრა თფილისის სასამარ...თლო პალატის უდიდეს საქმეთა გამომ...ძიებელმა მ. ჯომარჯიძემ, რომელიც ...ამად თავს უყრის და სისტემაში

მოჰყავს ექვს დიდ ტომისაგან შემდგარ წინასწარ გამოძიებით შეგროვილ მასალას. პასუხისგებაში მიცემული პირნი ნოემბრის 29 ს არიან დაბარებულნი გამომძიებლის კამერაში ბრალდების წარსადგენად.

გემ „მარიახ“ მგზავრების გაძარცვის ხაქმე. გემ „მარიაზე“ მგზავრების გაძარცვის საქმის გამოძიება დამთავრების პროცესშია. როგორც ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი დეპეშით ამცნობს სამინისტროს, საქმის დასაბოლოვებლად საჭიროა მხოლოდ ზოგიერთ გარემოების გამოკვლევა ბათუმში და ოზურგეთში, რისთვისაც ადგილობრივ იგზავნება ამ დღეებში საგანგებო საქმეთა გამომძიებელი დევიძე. ამ საქმეზე სამართალში მიცემულია 22 კაცი ყველანი დაპატიმრებული არიან. უკვე დაკითხულია 60 დაზარალებული.

ხაგამომძიებლო ხაქმიხ მოწეხრიგებიხათვის. იუსტიციის დეპარტამენტის მმართველის გ. თ. ჟორდანიას წინადადებით, თფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებათა საზოგადო კრების განსახილველად შეტანილ იქნა საკითხი საგამომძიებლო ნაწილის მოსაწესრიგებლად სწრაფ და ენერგიულ ზომების მიღებისა. სასამართლოს განყოფილებათა კრებულმა დაადგინა სასამართლოს წევრებ შორის განაწილოს საგამომძიებლო უბნები და დაავალოს არჩეულ წევრებს გამომძიებელთა კამერების სისტემატიური დათვალიერება და ხელმძღვანელობა.

ხაგარეჯოში მომრიგებელ მოხამართლიხ კამერიხ გახხნიხათვიხ. საგარეჯოს თემის ერობა დეპეშით ამცნო იუსტიციის სამინისტროს, რომ მისი განკარგულება ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლისთვის ბინის აღმოჩენის შესახებ უკვე შესრულებულია. ამისდაკვალად სამინისტრომ წინადადება მისცა საგარეჯოს მომრიგებელ მოსამართლეთ არჩეულს ნ. ბერძენიშვილს დაუყოვნებლივ გაემგზავროს საგარეჯოში და გახსნას იქ კამერა არა უგვიანეს ნოემბრის 25 ისა.

## უცხოეთი
(გაზეთებიდან).

**რუსეთი.**

დენიკინიხ „მერცხლები“. ეკატერინოდარის გაზეთებში ნოვოროსიით „სარწმუნო წყაროებიდან“ მიღებული ცნობის თანახმად ოქტომბერში თითქოს მომხდარა საქართველოში ბალშევიკური გადატრიალება. დაწყებულია დაპატიმრება ჩხრეკა. ეს ამბავი გადაუცია გაზეთებისთვის თფილისიდან შემთხვევით გაპარულს. იმავე გაზეთებში, მეორე ყალბი ცნობაა, თითქოს ინგლისელებმა წინადადება მისცეს საქართველოს და ადერბეიჯანს, თავი შეიკავონ მათ მოხალისეთა ჯარის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედებისაგან.

შეურაცყოფილი გენერლები. ყუბანის რადის ერთ ერთ სხდომაზე ცნობილმა საზოგადო მოღვაწე ი. ლ. მაკარენკომ სხვათა შორის სთქვა, რომ საბრალო ყუბანმა ვერ შესძლო წარმოეშვა ორი სამი რიგიანი გენერალიც კი. ამის გამო „პოხოდნი“ ატამანი გენ. ზვიაგინცევი გაზეთებში აცხადებს, რომ მაკარენკოს განცხადებამ დიდათ აღელვა საზოგადოთ ყველა გენერლები და შეუძლებელია მუშაობა, ვიდრე ასეთი სამარცხვინო ლაქა არ მოგვიშორებია. არც შეგვიძლია ახლა გადაჭრით ვსთქვათ რაიმე იმის შესახებ, რომ ასეთი შეურაცყოფისაგან თავის დასაღწევად ეს თუ ის ზომები არ იქნება მიღებული თვით გენერლების მიერო.

მოხალიხეთა რეპრეხიები ყირიმში. ყირიმში შეიპყრეს თათართა პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ყირიმის დამოუკიდებლობის მომხრენი არიან. გენერალ შილინგის განკარგულებით ყირიმში არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები გააუქმეს და აღადგინეს რევოლიუციამდე არსებული დაწესებულებანი. შეპყრობილთა შორის არის აგრეთვე სეით ჯელილ ხატატოვი, ყოფილი ფინანსთა დირექტორი და სახალხო განათლების დირექტორი ოზენბაშლი. შეპყრობილთ ბრალს სდებენ მოხალისეთა წინააღმდეგ სისტემატიურ აგიტაციის წარმოებაში.

შაქრიხ წარმოება. ხარკოვის გუბერნიაში ამ ჟამად მხოლოდ ერთი შაქრის ქარხანა მუშაობს. ჭარხლის სიმცირის გამო მოსალოდნელია შაქრის წარმოების დიდათ შემცირება.

ბალშევიკებიხ ხაქმე. როსტოვის სამხედრო საველე სასამართლომ შეუდგა ბალშევიკების საოლქო ორგანიზაციის საქმის გარჩევას. პასუხისგებაში მიცემულია 24 კაცი. გამოწვეულია 100 მეტი მოწმე.

რუხი მონარქიხტები გერმანიაში. დონის გაზეთების გადმოცემით, გერმანიის ორიენტაციის რუსი მონარქისტები ბერლინში გაზეთ „პრიზივსა“ სცემენ რუსულ ენაზე, რომელსაც მხნეთ ავრცელებენ ბალტიის მხარეში. ლიტვის მთავრობამ აკრძალა ამ გაზეთის გავრცელება, მის გამავრცელებელს დააჯარიმებენ 3 ათასი მანეთით ან 5 თვით ციხეში ჩამწყვდევით.

## ქალაქის ბაღში

ქალაქის ბაღში, მარტოდ-მარტო, მივიწყებული,
განშორებული სინამდვილის ვაგლახ ქვეყანას,
ვიწექ გულ აღმა და ფოთლების მწვანე კრებული,
მინაზებული ტკბილ შრიალით მიმღერდა ნანას.

დღიურ ფიქრებით დატვირთული, დამძიმებული,
გონება ჩემი აქ იშვებდა, აქ ისვენებდა;
და სული ჩემი განდევნილი, განყენებული,
ოცნების კოშკებს იშენებდა და იმშვენებდა.

ცა ბინდდებოდა. ღამის ფარდა ძირს ეშვებოდა.
მეძინებოდა. სიზმარეთი მეხატებოდა.
ვთვლემდი. მებაღის ჰოროტოტო მეყურებოდა:
ხალხს აუწყებდა, რომ კარები იკეტებოდა.

გული მწყდებოდა. განძრევაც კი მეზარებოდა.
მსურდა ამ ბაღში გაშლილ ცის ქვეშ გამთენებოდა.
და მებაღე კი, ეს სიცხადე, არა სცხრებოდა,
ზოგს წასვლას სთხოვდა, ზოგს უზრდელად ერეკებოდა.

ჩემთანაც გაჩნდა. დამიყვირა: ეი, ავარაგ!
აქ რას აკეთებ, გაეთრიე ეხლავე გარეთ!
ღამის სათევი სასტუმრო ხომ არა გგონია,
რომ არხეინად გაშოტილხარ სახე-მლიმარეთ?

არ ვუპასუხე. დარცხვენილი გამოველ გარეთ,
და ისევ ქუჩებს, ჩემს ყრუ ქუჩებს მივმართე მწარეთ:

ტლუ მეგობრებო! მომისმინეთ, თქვენ გენაცვალეთ!
კვლავ თქვენ მოგმართავთ, თქვენი მოძმე! თქვენ შემიბრალეთ!
ჩემო ქუჩებო! სიყრმიდანვე თქვენ შეგიყვარეთ,
ყველგან დევნილი თქვენ მიმიღეთ, თქვენ შემიფარეთ,
თქვენ მეაკვნეთ ბავშვობისას, თქვენვე აღმზარდეთ,
მკვდარსაც ისევ თქვენ მელოგინეთ, თქვენ მესამარეთ.
თქვენ დამიტირეთ ქარის მოთქმით, ქარის კივილით,
ცრემლების ნაცვლად გულზე მტვერიც თქვენ მომაყარეთ!

ასე მივმართე ჩემს განუყრელ მეგობარ ქუჩებს
და მის უბეში ავქვითინდი ბავშვივით მწარეთ..

ვ. ქუჩიშვილი.

ჩრეზვიჩაიკიხ ხარჯები. კონტრ რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველათ 1919 წლის პირველ ნახევარში საბჭოთა მთავრობამ გადასდო საგანგებო კომისიის („ჩრეზვიჩაიკა“) განკარგულებაში 348 მილიონი მანეთი, ამავე წლის მეორე ნახევრისათვის გადადებულია 571 მილიონი მანეთი.

**ფინლიანდია.**

რუსების წინააღმდეგ. „სვობ. როსიას“ გადმოცემით ფინლიანდიის მთავრობა შეუდგა ფინლიანდიის საზღვრებიდან რუსების გაძევებას. პირველ რიგში ასახლებენ იმათაც, ვისაც რაიმე დანაშაულობაში ბრალი ედება ან სპეკულიანტია. მათ ასახლებენ საბჭოთა რუსეთის ან ჩრდილო დასავლეთის მთავრობის ტერიტორიაზე. ასახლებენ აგრეთვე ყოფილ აფიცრებს და სამხედრო მოხელეებს და საზოგადოთ იმათ, ვინც მტრულად უცქერის ფინლიანდიის მთავრობას. ამასთან ერთად საზოგადოთ რუსებს ასახლებენ ფინლიანდიის შუაგულ ქალაქებში იმ ადგილებიდან, საიდანაც თავისუფალი ბინები ცოტა მოიპოვება.

## მოსე ბერძენიშვილი

არიან ადამიანები, რომლებიც საზოგადოებრივ მოღვაწეობას ჩუმათ აწარმოებენ. და თუ მიუთითებთ თავის ნაყოფიერ მუშაობაზე, თავს უხერხულად გრძნობენ და წითლდებიან.

ერთი ასეთთაგანი იყო მოსე ბერძენიშვილი. ერთის შეხედვით ეჭვი დაგებადებოდათ ვითომც აქტიობა აკლდა, მაგრამ საჭირო იყო ის დაგენახათ თვით საქმის დროს, უნდა გაცნობოდით მის მტკიცე ნებას, რომ დაგეფასებინათ ის. გულწრფელობა, პირდაპირობა, სიფაქიზე, ლიანობა და დაკვირვებული აუჩქარებელი აქტიობა, აი მოსეს პიროვნება.

არ ყოფილა ორგანიზაცია სამტრედიაში, რომ მოსეს კანდიდატურა სიამოვნებით ერთხმად არ გასულიყო, მოსე ყველას უყვარდა და მასაც არვის სიძულვილი არ ქონდა. ბევრჯერ მწუხარეთ აღნიშნავდა ხოლმე „ნეტავ თუ მოვესწრო იმ დროს, რომ ინტრიგანობა არ იყვეს“. ამას ისე გრძნობით, ისე გულწრფელობით იტყოდა, რომ მის გულწრფელობაში ეჭვი არ შეგეპარებოდა. და თუ სადმე შეეტყობდა, რომ იწყებოდა „შენ-ჩემობა“, იქიდან პირველი მოსე წამოვიდოდა. დღეს ეს ჯან ღონით სავსე ამხანაგი ხოულოდნელად სიკვდილმა მოგვტაცა. საერთოდ პარტიისთვის და კერძოთ სამტრედიის ამხანაგებისთვის და ფართო საზოგადოებისათვის აუნაზღაურებელი დანაკლისია. მწარე გრძნობებით ათრთოლებულნი ხვდები ვიმეორებთ მის საფლავზე შილლერის სიტყვებს:

Ахъ, онъ слишкомъ молодъ для могилы.

ქ. გარგახელი.

## გურული ბალშევიკები
(შთაბეჭდილება)

„შერცხვენა იმ ერს, რომელიც ბოროტებას ხელს აფარებს“.

არავინ არ ელოდა, თუ გურიაში ბალშევიკები შეიარაღებულ გამოსვლას გაბედავდენ. მართლაც, რომ ეს მოულოდნელი რამ იყო. გურულებს მოქალაქეობრივი ცხოვრება ახლად დაწყებული არ აქვს, პოლიტიკურ ცხოვრებას, პოლიტიკური პარტიების პლატფორმების აწონ დაწონვას ის კაი ხანია (1904 წლიდან) შეჩვეულია. რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატების არჩევის დროს ბალშევიკებმა გურიაში სულ რაღაც ასიოდე ხმა მიიღეს, მას მერე არც ისე დიდი ხანია, რომ გურულებს კანი ეცვალათ. მაშ რას მივაწეროთ ბალშევიკების უკანასკნელი კადნიერება? ბალშევიკები ყურს აყრუებენ, ჩვენი პარტია ღარიბთა პარტიაო. თუ ეს ასეა, მაშინ რად მოხდა წინააღმდეგი. ყველაზე მეტი ბალშევიკები გურიაში არის სოფ. ხილოურში, ეს სოფელი კი სიმდიდრით გურიაში ყველა სოფელს სჯობს, მათი სასიმინდე მშიერობისაც კი „დაკატრულ-ლი“ (სავსე) იყო, ოზურგეთის ბაზრის სანოვაგით დამპურებელი ეს სოფელია. ლანჩხუთი, სუფსა, ესენიც მდიდარ სოფლელთა რიცხვშია. ღარიბი არის ზემოხეთი, ნანეიშვილისეული, სურები, ასკანა, აკეთი, განსაკუთრებით კი ლიხაური (თათრების შემოსევის დროს განადგურებული). ამ სოფლებიდან კი ბალშევიკების გახურებულ თავზე ტილოს დამფენელი რაზმი გამოვიდა—მტერი ბალშევიკების და არა მოყვარე. ახლა გავსინჯოთ პიროვნებები, ბალშევიკების მიმდევრები. აქაც სრული წინააღმდეგობა. მათ მიერ ჩოხატაურში უღლეურად გაკომისარებული (მაზრის) სამსონ ჭანიშვილი, შეძლებული გლეხის შვილია, მეორე კომისარი (რაიონის) ჩიგოგიძე სოფლის „კულაკია“—მოვაჭრეა, მებრძოლი „კომუნისტებიც“ ფულს ბლომათ ხარჯავენ, თითო ქეიფი ათასობით უჯდებოდათ, კარტის თამაშობის დროს „აჩკო სტო რუბლეის“ გაიძახიან. ყველა ამან უნდა აუხილოს ყველას თვალი და დააჯეროს, რომ ეს პოლიტიკური პარტია არ არის, არამედ უმეტესობა მოყიდულებია, სხვები კი ქურდები, დეზერტირები და ისეთები, რომლებიც მთავრობას ყოველივეს სთხოვენ, მაგრამ მთავრობის მოთხოვნილებას კი გაურბიან. ესენი ამბობენ: „ყოველივე ჩემი ჩემია და ყოველივე შენიც ჩემია“. ასეთია სილოურლები... მართალია, ბალშევიზმი ერთგვარ გადამდებ სენათ გადაიქცა და ამ მოარულ ჭირს ვერც გურია გადაურჩა მოუხდელად, მაგრამ მტყუანია ის, ვინც თავის დროზე არ მიხედა და არ აუცრა. ხალხი სამართლიანად უსაყვედურებს მართველ პარტიას: როცა გდევნიდენ, გეშინოდათ, გმალავდით, მაშინ ჩვენი ხშირი სტუმარი იყავით, გვათვითცნობიერებდით, კატორღასა და ციხეს ელოდით, მაინც თავს დაგტრიალებდით, ახლა კი მიგვატოვეთ, ბალშევიკებმა კი წინანდელი თქვენი საქმე გაზნაურეს, ჩუმათ დაძვრებიან, პროპაგანდა აგიტაციას ეწევიან—სადა ხართ? კითხულობს ხალხი და სამართლიანადაც. მარტო ფიზიკური გამარჯვება არ კმარა, საჭიროა ძველებური მუშაობა დაუყონებლივ განაღდეს და მით ცხოვრება სავსებით გადახალისდეს, მაშინ მტერი სამარადისოთ დამარცხდება...

მეტეორი.

## „საკითხთა საკითხი“

დამაფიქრებელ სურათს შლის მკითხველთა წინაშე „ერთობის“ (18 ნოემბ. 1919 წ.) მოწინავე „საკითხთა საკითხი“. მაგრამ—ვაი!—რომ თვით სინამდვილე—შიმშილი—ბევრად უფრო საშინელი და დაუნდობელია.

ჭეშმარიტად საშური ზომებია საჭირო, რომ ფიზიკური არსებობა შევინარჩუნოთ.

მაგრამ რანაირათ?

ამის შესახებ ჩვენ პრესაში არა ერთი წერილი დაწერილა; ბევრს აუმოძრავებია თვისი კალამი, მაგრამ, რუსის არ იყოს, პირჯვარს მაშინ დავიწერთ, როდესაც მეხი გავარდება.

და აი, გავარდა კიდეც მეხი.

მოსავალი არაა.

ყველგან შიმშილის აჩრდილი დასეირნობს.

ხოლო „დამშეული სვანეთის თერთმეტი საზოგადოება თოვლმა უკვე მოსწყვიტა საქართველოს და მთის საპყრობილეში მომწყვდეულ ხალხს შიმშილით გაწყვეტა მოელის“.

რაღა თქმა უნდა, შეგნებული საქართველო თვის ზურგს არ დაიშურებს და თხილამურით მიაწვდის გასაჭირსა შინა მყოფთ საზრდოს, მაგრამ ამ საზრდოს აღმოჩენა უნდა თუ არა?

რით და როგორ?

ამის პასუხს ამ დღეებში „ერთობის“ ფურცლებზე სწერდა ბ. ივ. ჭავჭანიძე.

მართლაც და მთავრობა რომ თვით აწარმოებდეს ევროპაში ყიდვა-გაყიდვის საქმეს ნაღდ ფულზე, მაშინ, ცხადია, ბბ. სპეკულიანტებს ნიადაგი გამოეცლებათ და volens-nolens შესცვლიან პროფესიას და ხალხიც თავისუფლად ამოისუნთქებს.

განა წარმოსადგენია, რომ ცალკე პიროვნებას მიენდოს გადასაჭრელად ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა საკითხი სურსათ-სანოვაგის?

ყოვლად წარმოუდგენელია და ამისთვის განსაცვიფრებელი იყო ცნობა პრესისა, რომ ცალკე პიროვნებას მიანდეს ევროპაში ასიათასობით ფუთი თამბაქოს გადაცვლის საქმეო.

კოლექტიური მუშაობა ჩვენი ცხოვრების არც ამ დარგს ავნებს.

ჩემის აზრით, უნდა შევქმნათ „სიძვირესთან საბრძოლველი ფონდი“.

ფული ამ „ფონდისთვის“ უმთავრესად უნდა გადიდოს იმ თანხიდან, რომლიდგანაც ხდება ჯამაგირების მომატება.

საბედნიეროდ ამ მიზნით უკვე შესდგა ასმილიონიანი ფონდი, მაგრამ ეს არ კმარა.

თანხა იმდენად უნდა გადიდდეს, რომ შესაძლებელი შეიქმნეს მთელი ერის დახმარება.

დამფუძნებელი კრება რომ ზემოხსენებულ ასმილიონიან ფონდს 200—300 მილიონ მანეთამდე გაზრდიდეს აქ სავალიუტო საქონლის შესაძენათ და მის ევროპაში გაყიდვის შემდეგ იქვე შეიძენდეს ჩვენთვის საჭირო სურსათ სანოვაგეტანსაცმელს, და ერობა, ქალაქთა და კოოპერატივების საშუალებით გაავრცელებდეს ხალხში—ერის მდგომარეობა თვალსაჩინოთ გაუმჯობესდება. ხოლო ამ თანხის განაღდებისა და მეორედ და მესამედ მისი გადატრიალების შემდეგ —ხომ წლეულ რამდენიმეთ მაინც მოვირჩენთ და გაჯანსაღებულნი გაათკეცებულის ენერგიით შევებრძოლებით რესპუბლიკას მტერთ.

შემინო.

## საქართველოს მევენახეთა საყურადღებოდ

მომავალ კვირას, 23 ნოემბერს, თფილისში შეიკრიბება სრულიად საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესი, სადაც განხილული იქნება მრავალი საყურადღებო კითხვები მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ. პროგრამა მომავალი კონგრესისა მოწონებულია თვით ჩვენი მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნ ნოე ნიკოლოზის ძის ჟორდანიასაგან, ზოგი კითხვები თვითონ ჩაურთო პროგრამაში და ჩვენი მეურნეობის განვითარების როგორც დიდმა თანამგრძნობმა დაადასტურა დიდი საჭიროება კონგრესის მოწვევისა. მომავალ კონგრესს აგრეთვე დიდის თანაგრძნობით მოეკიდა ბ-ნი მიწად მოქმედების მინისტრი და მისი მხრით ყოველივე დახმარება უზრუნველყოფილია. კონგრესის მოწვევა საჭიროთ დაინახა და მონაწილეობას იღებს ბ-ნი ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძე.

ყველა ეს ავალებს ჩვენს მევენახე და მეღვინეებს ფხიზლად შეხედონ საქმეს და ყოველივე საჭიროებანი მევენახეობასა და მეღვინეობაში აღნუსხონ კონგრესზე გამოსარკვევად.

დადგა დრო ცოცხლობითი მუშაობისა და ყველანი უნდა ვეცადოთ სამშობლოს საკეთილდღეოდ. ჩვენი მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარება გაერთიანებულ მუშაობას მოითხოვს; საერთო ძალებით უნდა გამოვარკვიოთ საჭიროებანი ამ ჩვენი მეურნეობის უდიდეს დარგში და შეკავშირებულნი ურთიერთ შორის უნდა შევუდგეთ საქმის გაუმჯობესობას.

ვისაც სწამს ჩვენი მევენახეობისა და მეღვინეობის მომავალი, მისი დიდი მნიშვნელობა ჩვენს ახლანდელ და მომავალ ეკონომიურ ცხოვრებაში, ვისაც სწამს საერთო მუშაობა სამშობლოს წინსვლაში, მობრძანდით კონგრესზე გულწრფელი სურვილით, რათა ყველა შეძლების დაკვალად დაეხმაროს ჩვენს ნაციონალურ სიმდიდრის—მევენახეობის და მეღვინეობის ... მიწად მოქმედების ... ცია... ბაში ...

## ქართლისაკენ
(დღიურები)

9 ნოემბერი.

**ახალქალაქის რაიონში.**

დილა მოღრუბლული იყო, ნაწვიმარი შარა-გზები ატალახებული, ცივი ნოემბრის ქარი უბერავდა ქართლის დალონებულ მინდორ ველებს. გრძნობს წინანდებური სიხალისე აღარ ეტყობოდა. სოფლელები და მგზავრები დაღონებული შემოგვცქეროდენ.

დილის 5 საათზე თფილისის ცხენოსანი გვარდიის დივიზიონი, ქვეითი გვარდიელები თფილისის და გორისა მზად იყვნენ და 7 საათზე სამი მხრით დაიძრენ ახალქალაქისაკენ. მარჯვნივ წავიდა ქვეითი გვარდია ხეობის შესაკრავათ ი. ჩაჩიბაიას ხელმძღვანელობით, მარცხენა მიმართულებით ცხენოსან გვარდიელების ნაწილი და პირდაპირ ახალქალაქისაკენ სასწრაფოთ გაემართა ცხენოსანთა მოწინავე რაზმი და სხვა ქვეითი ნაწილები. გვარდიის საერთო ხელმძღვანელი იყო ცხენოსან გვარდიის უფროსი გ. ხიმშიაშვილი.

ახალქალაქი „ბანდიტებმა“ 8 ნოემბერს დილით აიღეს, მცხოვრებნი ტერორის ქვეშ დააყენეს, მოწინავეები დაატყვევეს, ხალხს იარაღი აჰყარეს და გამოგრების შემდეგ მზადებას შეუდგენ სხვა სოფლების ასაღებათ.

11 საათზე რაზმების ნაწილებმა ახალქალაქს ალყა შემოარტყეს ზოგიერთა მხარეში კანტი კუნტათ სროლის ხმა მოისმის, მხოლოდ მარცხენა მხარეზე ხშირი.

სროლის დაწყებისთანავე და გვარდიის მიახლოვებისთანავე „ბანდიტები“ გაიქცნენ ტყეებისაკენ, თან გაიტაცეს ტყვეები.

11 საათზე, რაზმი ახალქალაქში შეიჭრა. დაიჭირეს ერთი მეთაურთაგანი ილია გრ. წერეთლიშვილი და სხვები. მარჯვნით კი ისევ დროგამოშვებით სროლის ხმა მოისმოდა.

ქეობის ხეობისაკენ გაქცეულ ბანდიტებისა, რომელთაც თან მიჰყავდათ ახალქალაქში დაჭერილი სამაზრო ერობის გამგეობის წევრი შ. ჯავახიშვილი, ახალქალაქის ერობის გამგეობის წევრები, კომისარი და სხვები, გვარდიელებმა მათ გზა გადაუჭრეს — დაჭერილები გაანთავისუფლეს. იარაღი დაჰყარეს, ზოგმა ტყეს შეაფარა თავი, ზოგი გაიქცა, ნაწილი ტყვეთ ჩაუვარდა ჩვენებს. გაქცეულებს თან სასწრაფოთ დაედევნა ცხენოსანი გვარდია.

სოფელში შესვლისას დამალული ხალხი გამოეკიდა, დუქნები კი დაკეტილი იყო. გვარდიელები შეუდგენ იარაღის მოგროვებას.

შეშინებული მოხელეები და სხვები ცნობებით ერობის შენობაში მოვიდენ.

12 საათზე კი უკვე რაზმის უფროსი გ. ხიმშიაშვილი ტელეფონით სოფელ მეტეხს ელაპარაკებოდა:

— მეტეხი ხარ?
— მეტეხი ვარ.
— მანდ რა ამბავია?
— ფრთხილათ, სადგურში ჯავშნიანი მატარებელი მოვიდა...
— როგორ არის მეტეხში საქმე? ხომ კარგათ?
— მეტეხში კარგათ ვართ. ყოჩაღათ.
— რამდენი შეიარაღებული კაცი გყავთ, რომ დაგვეხმაროთ „ბალშევიკებს“?..
— 60-დე კაცი. როგორ არის საქმე მანდ, ახალქალაქში?...
— კარგათ, ბიჭები ცოცხლათ არიან, მხოლოდ მოგვეშველეთ.
— ეხლავე, მზათ არიან.
— თქვენ ვინა ხართ ტელეფონთან?
— მე ნოშა გაბორიძე ვარ.
— მაშ, ყოჩაღათ ნოშა, დავსცხოთ. მხოლოდ ნოშა, რაზმს ვინ უხელმძღვანელებს, ვინ არის ხელმძღვანელი?
— რაზმის ხელმძღვანელი სოსო ტატანაშვილი, მარჯვე, გამოცდილი...
— აბა, თქვენ იცით...

ტელეფონთან ლაპარაკი შეწყდა. გამოირკვა, რომ მეტეხში ტელეფონთან იჯდა „ბალშევიკების“ აგენტი, რომელსაც კავშირი ჰქონდა ახალქალაქის კომუნისტების სამხედრო შტაბთან. გომთან გამოლაპარაკებამ კი მოგვცა საიმედო ცნობები.

ტელეფონის აპარატთან რამოდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ადგილობრივი მოსამართლე, მოხუცი და შეკრთალი გვითხრა;

— იცით, ბატონებო, რა მოგახსენოთ?
— რას ბრძანებთ!—შეეკითხა გ. ხიმშიაშვილი.
— როცა ისინი მოვიდენ მე საჩქაროთ მივედი მათთან, როგორც მოსამართლე, და განვუცხადე: თქვენ სხვაგიხართ უკანონობის, არ გაქვთ ამის უფლება, თუ ვინმე დასაჭირია, ეგ ჩემი საქმეა და ამისათვის თანახმათ ძირი...

თად კანონის მეათე მუხლის, ოქმი უნდა შეგიყენოთ.

— მერე, რა გითხრეს.

— მითხრეს, ეხლა ბრძოლაა, ჩვენ როცა დავამარცხებთ მაშინ მოსამართლე ჩვენც დაგვეპირდება მანამდის კი შორს დაიკარგეო.

მოხუცი გულნატკენი იყო, რომ ვიღაცეებმა კანონი დაარღვიეს. 1 საათამდე თეძმის ხევიდან ჩამოცვივდნენ ზოგიერთი ტყვეები. ისინიც ძალზე შეშინებულნი იყვნენ მათ მოგვითხრეს, რომ სროლის დაწყებისთანავე ჩვენ სიკვდილით დაგვემუქრენ და გაგვიტაცეს, როცა სროლა ატყდა მათ თოფები გადაყარეს და დაიფანტნენო.

მარჯვენა მიმართულებით სოფ. ზემო ხატაკში ი. ჩაჩიბაიას ჩაუვარდა ხელში ახალქალაქის სამხ.—„ბოლშ." შტაბის შიკრიკი ოსი, რომელსაც მიჰქონდა ოსურ სოფლებში შემდეგი წერილი: „ახალქალაქის რაიონის სამხედრო რევოლიუც. შტაბი ბოლშევიკებისა", გთხოვთ, როგორც ძმები ჭირში და ლხინში, გაიზიაროთ ჩვენი სიხარული, ჩვენ ახალქალაქის რაიონმა უკვე შევიპყარით ხალხის მოღალატე ადგილობრივი მთავრობა და თქვენ გთხოვთ შემოგვიერთდეთ ხალხის საკეთილდღეო საქმეში. იმედი გვაქვს ჩამოხვალთ შეგნებულათ—ოსური ვაჟკაცობით.

ჯავა, ცხინვალი, მეჯვრისხევი, დუშეთი, კახეთი და ქუთაისის გუბერნია გამოვიდა. გორი დღეს გამოდის. ხელს ვაწერ სამხ. რევ. პოლიტიკური კომისარი. (გვარი ვერ გავარჩიეთ). წერილზე დასმულია ორი ბეჭედი, ერთზე მკრთალათ აჩნია „გვარდიის შტაბი", მეტი არაფერი, მეორეზე კარგათ აჩნია „რუსეთის კომუნისტური კომიტეტი".

ოს შიკრიკს ჩაჩიბაიას გვარდიის რაზმი „ბოლშევიკებიდან" ეგონა და მან უთხრა: უფრთხილდით, მთავრობის ჯარი მოდისო.

ახალქალაქში შესვლისას შემდეგი ირკვევა. 8 ნოემბერს დილით გათენებისას სოფ. ხოვლეთან შეიკრა რამდენიმე შეიარაღებული აგ[illegible] ვინმე თფილისელის მეთაურობით, [illegible] ერობის გამგეობა, კომისარიატი. შ. ჯავახიშვილი, მილიციონერებს იარაღი აჰყარეს, სავაჭროები დაკეტეს, ხალხი გამორეკეს და აუხსნეს, რომ ბოლშევიკებმა აიღეს თფილისი, გორი, რკინის გზები გადაჭრეს და მოღალატე მთავრობის აგენტები დახოცეს. ჟორდანიას მთავრობა ჩამოაგდეს და ეხლა კომუნისტური ეწყობა ყველგან, უნდა შემოგვიერთდეთ, უნდა დაგვემორჩილდეთო. ხალხს, თფილისელი აგიტატორი ეუბნებოდა: მენშევიკებმა—საქართველო განაცალკევეს, ლალებს გახდევინებენ, გვარდია მოისყიდეს, ტყე და მიწა მათთვის უნდათ. ჯარში გაჰყავთ სალდათები, ეხლა კი რუსეთის კომუნისტებს უერთდებით და განთავისუფლდებითო. თფილისის შტაბში მთავარ მონაწილეობას იღებენ სანდრო გალუსტოვი, გეურქა ბაჭიევი, შაქრო მეცხვარიშვილი, არტემ ხუციევი, მეარღნე საქულა, ვიღაც თფილისელი ცირკის მოჭიდავე ვერილი და სხვები. აღნიშნული პირები, ესე იგი ადგილობრივი სომეხი მიკიტნები, ყაჩაღები და მეარღნეები თფილისელის შტაბში მუშაობდნენ.

კომუნისტთა სარევ. შტაბმა ადგილობრივ ერობას ჩამოართვა 7683 მანეთი, აგრეთვე კომისარიატს, კერძო პირებს და ამ ფულებს თფილისელი იბარებდა. ეს ფულები გაქცევის დროს მან თან გაიტაცა. „ბოლშევიკურ" ბანდის შემოსვლისთანავე მიემხრნენ ადგილობრივი ვაჭრები, ზოგიერთი დეზერტირები და საეჭვო პირები. ისინიც შეუდგნენ აგიტაციას და ხალხს ეუბნებოდენ,—დადგა ჩვენი დროვო.

პირველათ „ბანდა" მცირე რიცხოვანი იყო, მაგრამ ყველა მხარეებიდან თავის მოყრა იწყო საეჭვო ელემენტებმა და 8 ნოემბერს საღამოს შეიარაღებულთა რიცხვი 120-დე ავიდა. თფილისელი კი ცნობებს აწვდიდა ხალხს, ოსები ჩამოვლენ და შემდეგ წავალთ გორისაკენო. მოწინავე პირებმა ბევრი რამ მოგვითხრეს, მაგრამ ეს შემდეგ.

გვარდიელების ენერგიულმა მოქმედებამ ბევრი იარაღი აღმოაჩინა გაქცეულები და ზოგიერთები დაიჭირეს. სოფლებში ჩხრეკა მოახდინეს. რამოდენიმე საათის განმავლობაში წესრიგი აღდგენილ იქნა. საზოგადოებრივმა ძალებმა თავი მოიყარა და მუშაობას შეუდგა. დროებით ჩამკვდარი ახალქალაქი ისევ ამოძრავდა, სიცოცხლე დაეტყო, აქა იქ დუქნებიც გაიღო. დამნაშავეთა დევნას ცხენოსანი გვარდია განაგრძობდა.

საღამოს ოთხ საათზე ხალხი მოგროვდა და გაიმართა ყრილობა, რომელიც გახსნა ტყვეობიდან ახალ განთავისუფლებულმა გორის ერობის გამგეობის წევრმა შ. ჯავახიშვილმა. ხალხს მოკლე წინადადებით მიმართეს რაზმის უფროსმა გ. ხიმშიაშვილმა, ვ. ქარცივაძემ და სხვებმა. ყრილობაზე აშკარათ სჩანდა ხალხის გულის წყრომა „ბოლშევიკების" წინააღმდეგ და მოლაპარაკეთა ოვაციას უმართავდნენ. კრებაზე ზოგიერთების მოწყენილი სახეები დისონანს ახდენდა. მათ ეტყობოდათ არ მოსწონდათ „ბანდების" დამარცხება.

ისინი ვაჭრები იყვნენ.

საღამოს მოწინავეთა თათბირი გაიმართა.

**ობოლი მგზავრი**

## საერთაშორისო სოც. კონგრესისათვის ჟენევაში

(დასასრული)

**აღმასრულებელი კომიტეტი.**

6. ა) აღმასრულებელი კომიტეტი არის ადმინისტრატიული ორგანო ინტერნაციონალისა და მოქმედობს ის საერთაშორისო საბჭოს და კონგრესის კონტროლის და ხელმძღვანელობის ქვეშ.

ბ) აღმასრულებელი კომიტეტი შესდგება ინტერნაციონალის თავმჯდომარის, ხაზინადრის და მდივნისაგან და აგრეთვე ექვსი სხვა წევრისაგან.

გ) აღმასრულებელი კომიტეტი იკრიბება სამ თვეში ერთხელ და თავის მოქმედების შესახებ მოხსენებას უდგენს საერთაშორისო საბჭოს და კონგრესს.

დ) ის ხარჯები, რომელსაც აღმასრ. კომიტეტის წევრები ეწევიან ინტერნაციონალის საქმეების გამო, იფარება თანახმად რეგლამენტისა, რომელიც უნდა შეიმუშაოს საერთაშორისო საბჭომ, ინტერნაციონალის წყაროებიდან.

ე) მდივანი არის ინტერნაციონალის მთავარი თანამდებობის პირი. მისი თანამდებობა მუდმივია. მის გასამრჯელოს განსაზღვრავს საერთაშორისო საბჭო. თავის თანამშრომლებს ის თვითონ ნიშნავს. განსაკუთრებული პირობების გამო მდივანს შეუძლია მოიწვიოს თავის მოვალეობის აღმასრულებელი კონგრესის რეზოლიუციების ასასრულებლათ. აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით მდივანს შეუძლია მოიწვიოს ადმინისტრატიულ თათბირზე ნაციონალური სექციების ყველა ან ზოგიერთი მდივნები.

ვ) ხაზინადარი განაგებს ინტერნაციონალის ფინანსებს, რომლის შემოსავალ გასავლის ანგარიშზე მოხსენებას უდგენს ყოველ მორიგ ორწლიან კონგრესს.

ზ) ინტერნაციონალის თავმჯდომარე თავმჯდომარეობს აღმასრ. კომიტეტის საერთაშორისო საბჭოს სხდომებზე, ის აგრეთვე ხსნის კონგრესსაც.

ი) თავმჯდომარის, ხაზინადრის, მდივნის და აგრეთვე აღმასრ. კომიტეტის ექვსს სხვა წევრთა კანდიდატებს ასახელებს საერთაშორისო საბჭო კონგრესის მუშაობის დროს.

**ხმების მიცემა.**

ყველა კითხვები საერთაშორისო საბჭოში და აგრეთვე კონგრესზე სწყდება ინდივიდუალური ხმის მიცემით.

მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს სამი ნაციონალური სექცია, ხმების მიცემა ხდება სექციებით თანახმათ პროექტში ნაჩვენებ ხმების შკალისა 1 დან 30-მდე.

ამ შკალას ადგენს და პერიოდულად იხილავს საერთაშორისო საბჭო. ამასთან საბჭო ხელმძღვანელობს: ა) იმ წევრთა რაოდენობით, შეთანხმებით იმა თუ იმ ქვეყნის მცხოვრებთა საერთო რიცხვთან, რომლებიც იხდიან ფულს; ბ) ერის მნიშვნელობით; 3) პროფესიონალურ, კოოპერატიულ და პოლიტიკურ ორგანიზაციათა ძლიერებით, გ) სოციალისტური და მუშათა ორგანიზაციების პოლიტიკური გავლენით. ხმები ნაციონალურ სექციის შიგნით ნაწილდება თვით სექციის მიერ, მაგრამ უთანხმოების დროს სადაო საკითხი საბოლოო გადასაჭრელად გადადის საერთაშორისო საბჭოში.

**პარლამენტარული თათბირი.**

8) აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია მოაწყოს თათბირი პარლამენტის ფრაქციის ყველა წარმომადგენლებისაგან. ინტერნაციონალის მდივანი ასრულებს საპარლამენტო მდივნის ფუნქციებს.

**პ რ ე ს ა.**

9) სეკრეტარიატთან არსდება ბეჭდვითი ბიურო, რომელიც მოაწყობს ორგანიზაციას მუშათა და სოციალისტურ ლიტერატურის გავრცელებისა. ამას გარდა, სეკრეტარიატი გამოსცემს ბიულეტენს სამ ენაზე, რომელიც გამოვა სამ თვეში ერთხელ და რომელშიდაც მოთავსებული იქნება ნაციონალურ სექციების საყურადღებოდ საჭირო დოკუმენტები, რომლებიც ეხება ინტერნაციონალში შესულ ორგანიზაციების და პარლამენტარულ ფრაქციების მოღვაწეობას. თვითეული ნაციონალური სექცია მოვალეა გამოუშვას თავის საკუთარი ბიულეტენი ორ თვეში ერთხელ, რათა გაიგოს სხვა ქვეყნის ორგანიზაციებმა მდგომარეობა იმ მხარეში, რომელშიდაც ეს ნაციონალური სექცია მოქმედობს.

**მუდმივი წარმომადგენლობა.**

10) ორგანიზაციებს, რომლებიც შორს იმყოფებიან სეკრეტარიატისაგან, ეძლევათ უფლება დანიშნონ თავიანთი მუდმივი წარმომადგენლები, რომლებთან აღმასრულებელი კომიტეტმა და სეკრეტარიატმა უნდა მოახდინონ თათბირი იმ კითხვებზე, რომლებიც აინტერესებს მათ წარმომადგენელ ორგანიზაციებს.

11) საერთაშორისო საბჭო ნიშნავს თავის მუდმივ წარმომადგენლებს, რომლებიც ესწრებიან კონსულტანტების სახით ნაციონალურ სექციების ცენტრალურ კომიტეტის და საბჭოების სხდომებს.

**ფინანსები.**

12) ინტერნაციონალის ფულის ანგარიშები თავდება 31 დეკემბერს. თვითეული სექცია, რომელიც მიეკედლა ინტერნაციონალს, ვალდებულია იხადოს ყოველ წლიურათ (1 იანვარს) 20 გირ. სტერ. თითეულ თავის ხმაზე. ნაციონ. სექცია თითეულ დელეგატზე, რომელსაც გზავნის კონგრესზე იხდის 2 გირ. სტერ. ანგარიშების პუბლიკაციით გამოწვეულ ხარჯების დასაფარავათ.

**დამატება.**

**ხმების განაწილების პროექტი.**

1) ლიუქსემბურგი—1 ხმა, 2) ბოლივია 2 ხმ., 3) ჩილი—2 4) ესტონია—2, 5) ირლანდია—2, 6) ლატვია—2, 7) პერუ—2, 8) პორტუგალია—2, 9) რუმინეთია—2, 10) საბერძნეთი—3, 11) სომხეთი—4, 12) კანადა—4, 13) ჭსაქართველო—4, 14) ლიტვა—4 15) პალესტინა—4, 16) სამხრეთ აფრიკა—6, 17) ბულგარეთი—6, 18) ისპანია—6, 19) ფინლიანდია—8, 20) ნორვეგია—8, 21) სამხრეთ სლავია—8, 22) დანია—10, 23) ჰოლანდია—10, 24) უნგრეთი—10, 25) პოლონეთი—10, 26) შვეიცარია—10, 27) არგენტინა—12, 28) ავსტრალია—15, 29) ავსტრია—15, 30) ბელგია 15, 31) შვეცია—15, 32) ჩეხო სლოვაკია—15, 33) უკრაინა—15, 34) იტალია—24, 35) გერმანია—30, 36) შეერთებული შტატები—30, 37) საფრანგეთი—30, 38) დიდი ბრიტანეთი—30, 39) რუსეთი—30, სულ—408 ხ.

**ლიუცერნის კონფერენციის რეზოლიუცია ჟენევაში საერთაშორისო კონგრესის ორგანიზაციის გამო.**

1) საზოგადო კონგრესზე, რომელიც შეიკრიბება 2 თებერვალს 1920 წელს ქ. ჟენევაში, მოწვეულნი იქნებიან მუშათა და სოციალისტური მოძრაობის ყველა ნაციონალური სექციები, რომლებიც კი აღიარებენ ინტერნაციონალის პრინციპებს.

2) ეს კონგრესი მოწვეული იქნება დროებით სტატუტის იმ საფუძვლებზე, რომლებიც მიიღო პარლამენტარულმა კომისიამ ლიუცერნში.

3) იმ კითხვების გარდა, რომლებსაც წარუდგენს ნაციონალური სექციები სეკრეტარიატს, დღის წესრიგში შევა კიდევ შემდეგი საკითხები:

ა) მიღება ინტერნაციონალის სტატუტისა.

ბ) ომისათვის პასუხისმგებლობა.

ვ) საერთაშორისო პოლიტიკა (ზავი, დემოკრატია და დიქტატურა, სოციალიზაცია, სოციალიზმის პოლიტიკური რეჟიმი, მუშათა კანონმდებლობა).

გ) პრესის ორგანიზაცია.

4) კომისიის დანიშვნა, რომლის მოვალეობა იქნება შესწავლა ძალა-უფლების რეორგანიზაციისა სოციალისტური თვალსაზრისით, კომისიამ უნდა წარადგინოს თვისი მოხსენება ორი თვით ადრე კონფერენციის მოწვევამდე სეკრეტარიატში, რომელიც შემდეგ მას (მოხსენება) გამოაქვეყნებს.

5) ერთ და იმავე დროს კონგრესთან ერთად მოწვეულ იქნება სოციალისტური და მუშათა პარლამენტარულ ფრაქციების კონფერენცია, რომლის მიზანი იქნება—გამონახოს საშუალებანი სხვა და სხვა ქვეყნის პარლამენტარულ ფრაქციების საერთო მოღვაწეობის, ინფორმაციის გაცვლის და იმ კითხვების შესწავლას, რომელთაც საზოგადო ინტერესი აქვთ. დაბოლოს კონფერენცია ეცდება გამონახოს ისეთი ზომები, რომლებიც შედარებით კარგ პირობებში ჩააყენებდა მუშათა კლასს.

6) იმავე დროს შესდგება კონფერენცია ბეჭდვითი საკითხის მოსაწესრიგებლად და აგრეთვე განიხილავს საერთაშორისო ტელეგრაფის სააგენტოს ორგანიზაციის საკითხს.

## ს.-დ. პარტიაში

**აბაშის რაიონი** 9 ნოემბერს შესდგა აბაშის რაიონის სოც. დემ. კოლექტივის მორიგი კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება პრეზიდიუმის; 2) სამაზრო პარტ. ყრილობა; 3) პარტიული საწევრო გადასახადები; 4) პარტ. კლუბისთვის მიწის შეძენის საკითხი.

პრეზიდიუმის სახელით მოხსენება გააკეთა ნ. ბოკუჩავამ, რომელმაც კრებას გააცნო პრეზიდიუმის მუშაობა, რაც კრების მიერ მოწონებულ იქნა.

მეორე კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს თავმჯდომარე, რომელიც აცნობს კრებას, რომ 20 ნოემბერს დანიშნულია სამაზრო პარტიის ყრილობა და ჩვენი მოვალეობაა ამ თავითვე შევუდგეთ შესაფერ სამზადისს. მუხლობრივათ განხილულ იქნა სამაზრო ყრილობის დღის წესრიგში დასმული კითხვები, რომელიც სამაზრო კომიტეტისაგან იყო გამოგზავნილი და ყველაზე გამოტანილ იქნა კოლექტივის შეხედულება, რის შემდეგ დაადგინეს: მოწვეულ იქნას დაჩქარებით პარტიის წევრთა საზოგადო ყრილობები, ყველა კითხვები სამაზრო ყრილობის განხილულ იქნას ადგილობრივად და არჩეულ იქნას შესაფერი წარმომადგენლები ყრილობაზე დასასწრებლათ.

მესამე კითხვის შესახებ დაადგინეს: დაჩქარებით აკრებილ იქნას საწევრო გადასახადები, თუ წლის ბოლომდე არა, უკანასკნელ რიცხვამდე მაინც და წარმოდგენილ იქნას რაიონულ კოლექტივში.

მეოთხე კითხვის შესახებ დაევალოს პრეზიდიუმს კლუბისთვის საკუთარ მიწის შეძენის შესახებ მიიღონ ზომები გამოარკვიონ დაწვრილებით რა პირობებში შეიძლება მიწის შეძენა ან დაგირავება და ამის შესახებ მოხსენება წარუდგინონ კოლექტივის მორიგ კრებას.

ე—ნი.

## მუშათა შორის

**ქუთაისის მუშათა კლუბის გახსნა.**

15 ნოემბერს ქუთაისში რკინის გზელთა რაიონულ გამგეობამ გახსნა რკინის გზელებისთვის მუშათა კლუბი.

კლუბის გახსნას დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების სოც.-დემ. ფრაქციის თავმჯდომარე მ. არსენიძე, რკინის გზ. უფროსი ა. კანდელაკი, ქუთაისის ქალაქის თავის მოადგილე ს. რობაქიძე, ქუთაისის გარნიზონის უფროსი გენ. ართმელიძე, რკ. გზელთა ცენტრალური გამგეობის და კულტურულ განათლების კომისიის წევრები და აგრეთვე სხვა მრავალი პირები.

დარბაზი გაჭედილი იყო დამსწრე საზოგადოებით. კლუბი გახსნა ქუთაისის რკინის გზელთა რაიონულ გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. პიპინაშვილმა.

კლუბის ისტორია მოკლეთ გააცნო საზოგადოებას ამხ. უგლავამ. მისალოცი სიტყვები წარმოსთქვეს: მ. არსენიძემ—დამფუძნებელი კრების ს. დ. ფრაქციის სახელით. ალ. კანდელაკმა—რკინის გზის უწყების სახელით. ნ. ბერეჟიანმა—რკინის გზელთა ცენტრ. გამგეობის. ს. დოლიძემ—რკინის გზის სამოსწავლო უწყების სახელით. არჩ. რუხაძემ—რკინის გზის ცენტრალურ კულტურულ განმანათლებელი კომისიის სახელით. ნ. ჟუმბურიძემ—ქუთაისის გვარდიის საოლქო შტაბისა და ს. დ. კომიტეტის სახელით. გ. ტუსკიამ—ქუთაისის პროფ. კავშირების საბჭოს სახელით. ს. რობაქიძემ—ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის სახელით, გენ. ართმელიძემ—ქუთაისის გარნიზონის სახელით. იყო მილოცვები აგრეთვე სხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათა წარმომადგენლებისგანაც.

მისალოცი სიტყვების შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა მისალოცი დეპეშები: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგის ალ. ლომთათიძისაგან, გზათა დეპარტამენტის დირექტორ ბეს. ქიქინაძისაგან და პოლკ. ანჯაფარიძისაგან, რომელთაც გარემოებამ შეუშალა ხელი, რომ დასწრებოდენ კლუბის გახსნას.

მილოცვების შემდეგ ადგილობრივმა ძალებმა შეასრულეს ეროვნული ჰიმნი და სხვა სიმღერები.

ადგილობრივ რკინის გზის სასწავლებლის მოსწავლეებმა საუცხოვოთ წაიკითხეს სხვა და სხვა ლექსები. გათამაშებულ იქნა ერთ მოქმედებიანი კომედია „მუტიაობა".

სპექტაკლის შემდეგ მოწვეულ სტუმრებს გაუმართეს ვახშამი. ახლათ აშენებული ქუთაისის კლუბი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ეტყობა ადგილობრივ ამხანაგებს არ დაუშურებიათ ძალა და ენერგია, რომ ამ საერთო ქაოსის დროს შექმნათ რკინის გზელებისათვის ხელოვნების ტაძარი.

**დამსწრე.**

## პროვინცია

**ზუგდიდის მაზრაში.**

ზუგდიდის სამაზრო ერობა უკვე შეუდგა ტყის დამუშავებას. გამგეობას აქვს ერთი საკუთარი საწყობი ქარხანა ანაკლიაში და ორიც იჯარით აღებული 8 ათას მანეთად შამგონაში და ანაკლიაში.

— ზუგდიდის მაზრა, რომელიც დიდძალ სიმინდს აწვდიდა საქართველოს რესპუბლიკას, წრეულს მოუსავლობის გამო შიმშილობის მოლოდინშია. ამის გამო სამაზრო ერობის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე მიეცეს სესხი ხალხისათვის ხორბლის დასარიგებლად დაჩქარებით, რომ ამ სეზონში მოესწროს დათესვა.

— სამაზრო ერობის გამგეობამ შეიტანა 30,000 მანეთი სათანადო უწყებაში საქონლის ჭირთან საბრძოლველად. სანამდის შრატის დამამზადებელი სადგური ქუთაისში იმყოფებოდა, საშუალება იყო შეძენის; სადგურის გადატანის შემდეგ შრატი სრულიად არ მოიპოვება და მაზრა დიდ განსაცდელშია.

— სამაზრო ერობის გამგეობას არ ჰყავს მცოდნე კანცელიარიის მწარმოებლები ბუხგალტრის თანაშემწე, რაც ძლიერ აფერხებს მუშაობას.

ზუგდიდის მაზრაში მუშაობს 7 სარაიონო კომისია, მაგრამ მიწები მაინც ბევრია ჩამოსართმევი. ამიტომ სამაზრო ერობის გამგეობას განზრახული აქვს, სანამ ჩამორთმევა დასრულდებოდეს, ჩამორთმეულ მიწების დარიგებას შეუდგეს.

— ზუგდიდის მაზრა დაყოფილია 6 სამოსამართლო უბნად. ყველგან საქმის წარმოება დაწყებულია, მაგრამ მაზრას ეს ვერ აკმაყოფილებს, ამის გამო საერობო ყრილობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე მე 7 სამოსამართლო უბნის დაარსების შესახებ.

— სამაზრო ერობის გამგეობამ მთელ მაზრაში მოაწყო 3 საავათმყოფო; მეოთხესათვის ახლა შენდება შესაფერისი შენობა, განზრახულია სულ 6 საავადმყოფო მოეწყოს მაზრაში და დაარსდეს საექიმო პუნქტები მაზრის თითოეულ კუთხეში. ერობის ცენტრალურ საავადმყოფოს ქ. ზუგდიდში აქვს ქირურგიული განყოფილება შესაფერისად მოწყობილი, რომელსაც განაგებს ქირურგი პატარაია.

— ერობის გამგეობას განზრახული აქვს რევიზია მოახდინოს მაზრის ყველა აფთიაქებში. ეს რევიზია გამგეობამ მიანდო მაზრის სანიტარულ ექიმს ი. მუჯირის და სამაზრო პროვიზორ ელიავას.

## განცხადებანი


სახელმწიფო მამული „სკრა"

ნამყენი ხეხილი მაღალი და თესლეულობა

### მოითხოვეთ კატალოგი

სად. სკრა—გორის მაზრა.

(2906—10—7)

### სამკურნალო

(კავკ. წით. ჯვ. საოლქო სამმართველო) ჩერქეზ. ქ. № 77, იაკუბოვიჩის აფთ. გვერ. ავადმყოფ. მიღება ექიმ სპეციალისტების მიერ ყოველ დღე 9—2 საათამდე.

გ. ხანაძე 9—12 შინ. ვენერ. სიფილ.

გ. ფეხნერი 10—11, საბავშ. შინაგ. სნ.

ი. ტერ-გაკიმოვი 12—1. ვენერ. სიფილ.

ი. ბოკერია 10—11. ხირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო.

ა. ტერ-გრიგორიანცი 1—2. შინაგ. საბავ.

ტ. განეუმოვი 11—12. ქალთა საბებ.

„606" და „914" ყოველ დღე.

რჩევა 10 მ. ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი გ. გ. ხანაძე.

(2937—თ.)

საჭირო

### სახარატო დაზგა

ზომით 10 ფუტი ცენტრებს შორის. მისამართი: ამხანაგობა „ძმ. ზლატოგორსკებისა" ორთაჭალა. ვორონცოვის ქ. № 104, ტელ. № 5—53.

(3027 3—1)

ექიმი ს. დ. [illegible]

იღებს ავადმყოფებს შინაგან, საბებიო და ქალთა სნეულებით ყოველ დღე დილის 11—1 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 10—12.

(თ.—3028)

ექიმი ა. ლივაინგეიინი

შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით ექიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჰაქების ავათმყოფობათა. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე.

(თ. 2642)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა ა. ა. [illegible]

შინაგანი ავადმყოფობა, პლექსი და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა X სხივებით, დიდი საღენოიდი და არსენვალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი ბ. ი. [illegible]

შინაგანი სნეულებანი მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი ანდრონიკაშვილის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთ. ახლო [illegible] (2346—თ.)

### [illegible] სამკურნალო

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)

ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბ. ყოველ დღე 10—11 ნახ.

ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და სააკუშერო ყოველ დღე 10—11.

ექ. ქალი იოსელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.

ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბ. ყოველ დღე 1—3.

ექ. ტუმურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.

რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მ. ოპერაცია შეთანხმებით. „606" და „914"

(2930—თ.)

ექიმი არუთინოვი.

დაიწყო ავათმყოფების მიღება. დილის 9 ნახ.—11 ნახ. საათ. საღამოს 5—6 ნახ. საათ. ვენერიული სნეულებათა: სიფილისი, ტრიპერი და მათი შედეგი „606" და „914" შეშხაპუნება. მიხეილის პროსპ. № 80 ბინა 3.

(თ. 281[illegible])

ექიმი ივ. ბოკერია

იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულებით და სააკუშერო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—9[illegible].

(თ. 2744)

ექიმი კ. ტუღუშელაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—[illegible] საათამდე.

(2925)

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 (ზემელის აფთიაქის ახლოს)

(2785—თ.)

ექიმი დ. ვ. ჯავახიშვილი.

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელ. 14—60.

(თ.—266[illegible])

ქალ. სამტრედიაში

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606" და „914") ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35.

(2950—თ.)

ოზურგეთში

ექიმი ს. გ. აბაშიძე

მიიღებს ავათმყოფებს შინაგან სნეულ. ფილტვების, გულის, კუჭის და წლების. პლექის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—914" და „606" შეშხაპუნებით. კ. სიამაიშვილის სახლში.

ექიმი ს. ა. [illegible]

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 6—8 საათამდე. [illegible] მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი დ. ა. ხარაძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—[illegible] საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 8[illegible] ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი ქალი ჩ. ნ. [illegible]

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—2[illegible]

ექიმი თოხებ რაფდენის ძე ცინცაძე

იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

### მთავარ სამმართველო

ამით აცხადებს, რომ სურამის ფსიქიატრიულ ახალშენში შეიძლება მიღებულ იქნას დაწესებულ ფასით ხელით ავათმყოფი (მამაკაცი). დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება წითელი ჯვრის კანცელარიაში (26 მაისის ქუჩა საბ[illegible] ბიო ინსტიტუტის შენობაში) და ქ. სურამში ფსიქიატრიულ ახალშენის უფროს ექიმთან.

(2901—14—6)

### „ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი"

რომელიც იღებს ყოველ გვარ საკერავს და ასწავლის ჭრა კერვას, ქარგვას, [illegible] საცმელების შეკერვას და სხვადასხვა ხელსაქმეებს ხელმისაწდომ ფასებში, [illegible] ძელებს მოწაფეების მიღებას. მისამართი: ვერის დაღმართი № 3, ბინა 9, [illegible]

(3783—8—6)